ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მიწოდებისათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩვეუ. განცხადებები მიიღება მხოლოდ ორ საათ.

დღიური

უკრაინაში მძვინვარებს დიდი ქარ-ბუქი.

ნორვეგიის კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიც მუშათა კლასს მოუწოდებს კაპიტალიზმის და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაცხოველებას.

პფალციდან (გერმანია) გაიქცენ 1000-მდე სეპარატისტები.

გაიხსნა ბალტიის მხარეს სახელმწიფოთა კონფერენცია.

ინგლისში დაიწყო ნავთსადგურის მუშების გაფიცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 41 (893) სამშაბათი 19 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 41 (893)

ა.—წ. 25 თებერვალს

ალაქ ტფილისში მოწვეულია სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია.

დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
2. ცვლილებანი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.
3. ცვლილებანი სასამართლოს მოწყობის დებულებაში.
4. დეკრეტი ენის ხმარების შესახებ სახელმწიფო დაწესებულებებში.
5. დებულება სადისციპლინო სასამართლოს შესახებ.
6. დამტკიცებულ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის შესახებ.
7. მიწისა და სატყეო კოდექსის პროექტები.
8. აგრონომიულ დახმარების შესახებ.
9. ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ
10. მიმდინარე საკითხები.

საქარ. ცაკის მდივანი: **ხაზაშვილი.**

25 თებერვლისთვის

ერთი კვირის შემდეგ, 25 თებერვალს, ჩვენ ვიდღესასწაულებთ საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავს.

როდესაც ჩვენ უკვე სამი წლის მანძილით ვართ დაშორებული 1921 წლის 25 თებერვლის ისტორიულ აქტისაგან, როდესაც თვალწინ გვაქვს გადაშლილი ამ სამი წლის განმავლობაში მომხდარი ამბები და ამავე დროში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებულ მუშაობის სურათი,—დღეს უფრო მეტად დასანახი და გასაგებია ყველასათვის აზრი და მნიშვნელობა 25 თებერვლის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების.

ამ სამი წლის წინედ ჩვენში გამეფებული იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხელისუფლება მენშევიკების სახით.

მათ ვერ გაამართლეს მშრომელი ხალხის ვერც ერთი იმედი, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო.

ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცება—აი რა შეადგენდა მათ ამოცანას.

მშრომელთ ბატონობის სახელმწიფო ორგანიზაციის მაგივრად, მათ შემოიღეს ფიქტიური დემოკრატიული დაწესებულებანი და „საყოველთაო" არჩევნები, რაც სინამდვილეში ნიშნავდა მშრომელი ხალხის ისევ უუფლებოდ დატოვებას და ძალა-უფლების გადაცემას შეძლებულ კლასებისათვის, პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის დასამონებლად.

მათ ხელუხლებლად დასტოვეს ბურჟუაზიის არა მარტო პოლიტიკური უფლებები, არამედ უკანასკნელის ნივთიერი ფუძეც.

მემამულეებს ძველებურად შერჩათ საუკეთესო მიწები, კაპიტალისტებს ფაბრიკა-ქარხნები.

მუშების და გლეხების მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. მუშას ტალახიანი პურის რაღაცა სუროგატით კვებავდნენ. მენშევიკებმა ვერ გამოიჩინეს ხალისი და უნარი აღმშენებლობითი მუშაობაში. რაც დრო გადიოდა, მით უფრო უახლოვდებოდა ქვეყანა აშკარა კატასტროფიულ მდგომარეობას.

საქმეს უფრო ართულებდა მენშევიკების შოვინისტური პოლიტიკა. მათ გადაკიდეს ერთმანეთს საქართველოში მოსახლე ერები, აგრეთვე მუდმივი ომები ჰქონდათ მეზობელ ხალხებთან.

ამ ომებმა არაქათი გამოაცალა ხალხს, გაანადგურა მისი მატერიალური კეთილდღეობა.

არა ნაკლებ რეაქციონური იყო მენშევიკების საერთაშორისო პოლიტიკა. ებრძოდენ რა რევოლიუციას, მათ აიღეს გეზი დასავლეთის იმპერიალისტებისაკენ და საფრთხეს უმზადებდნენ საბჭოთა რუსეთს. საქართველო, როგორც მნიშვნელოვანი გეოგრაფიული და სტრატეგიული ცენტრი, მათ გახადეს ბაზად იმპერიალისტური მსოფლიოსათვის რევოლიუციონურ რუსეთის წინააღმდეგ.

საქართველოს მშრომელი ხალხი მუდმივ აჯანყებაში იმყოფებოდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. მენშევიკებს იმპერიალისტურ ჯარების დახმარებით. რამდენი რევოლიუციონერ მუშის და გლეხის სისხლი დაუღვრიათ, რამდენი სოფელი გადაუწვიათ და გლეხის სარჩო-საბადებელი გაუნადგურებიათ!

ეს ბრძოლა მენშევიკების დამარცხებით გათავდა. საქართველოს მშრომელ ხალხმა, მოძმე წითელ არმიის დახმარებით, განდევნა მუშათა კლასის მოღალატენი და სამი წლის წინედ 1921 წლის 25 თებერვალს აფრიალა წითელი დროშა.

აქედან დაიწყო ახალი ხანა საქართველოს ისტორიაში. ჩვენი ხალხი დაუბრუნდა მშრომელთა რევოლიუციონურ ოჯახს და თავისი რიგებით განამტკიცა რევოლიუციის საქმე.

ჩვენში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მშრომელთა ბატონობის ნამდვილი ფორმა. სახელმწიფოს მმართველობიდან განდევნილ იქნენ ხალხის ყველა მტრები, მუქთახორები, შეძლებული წრეები.

მუშურ-გლეხურმა მთავრობამ გაანაღდა რევოლიუციის ლოზუნგები.

ადგილ-მამული ჩამოართვა მემამულეებს, კულაკებს და გადასცა გლეხს. მსხვილი წარმოებები ჩამოართვა კაპიტალისტებს და სახელმწიფოს კუთვნილებად გამოაცხადა.

მუშის მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ქვეყანა აღორძინების გზაზე შესდგა.

დიდი მუშაობა ჩატარდა სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად. არხების გაყვანა, ჭაობების ამოშრობა, მდინარეების ნაპირის შემაგრება, აგროდახმარება და მრავალი სხვა მიმართულია გლეხის მეურნეობის აყვავებისაკენ.

შენდება მრავალი ელექტრო სადგურები; მტკიცე საფუძველი აქვს ჩაყრილი ქვეყნის ელექტროფიკაციას.

განათლების დარგში უდიდესი ნაბიჯებია გადადგმული, რიცხვი სკოლების, მოსწავლეთა და მასწავლებლების შეუდარებლად გაიზარდა. სახალხო განათლებაზე იხარჯება რესპუბლიკის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი.

ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით ყველაფერ იმას, რაც გაკეთდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ისედაც ცხადია, რომ დიდი მიღწევები გვაქვს ცხოვრების ყოველ დარგში.

მშრომელ ხალხმა სათანადოდ შეაფასა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების რევოლიუციონური და აღმშენებლობითი მოღვაწეობა და მთლიანად ამოუდგა მას გვერდში.

დაიშალა ანტისაბჭოთა ფრონტი. დაიშალენ ყველა ანტისაბჭოთა პარტიები. მათი ბანაკიდან ყველა ჯანსაღი და სასიცოცხლო გულწრფელად მიემხრო მუშურ გლეხურ მთავრობას.

ჩვენი მდგომარეობა განმტკიცდა.

ჩვენი რესპუბლიკა მჭიდროდაა დაკავშირებული დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებთან. მათ შექმნეს მშრომელთა დიდი კავშირი, რომელიც უდიდეს საერთაშორისო ფაქტორად გადაიქცა.

ბურჟუაზიული სახელმწიფოები, რომლებსაც წინედ ჩვენთან ლაპარაკიც არ სურდათ, დღეს იძულებული გახდენ ფრონტი ეცვალათ, რადგან საბოლოოდ დარწმუნდენ ჩვენს უძლეველობაში, ჩვენს ეკონომიურ და პოლიტიკურ სიმტკიცეში.

და ჩვენ ვხედავთ, რომ დადგა ახალი ხანა, ხანა საბჭოთა კავშირის იურიდიული ცნობისა. ჯერ კერძოთ გვიცნეს ინგლისმა, იტალიამ, ნორვეგიამ. სხვა სახელმწიფოები „რიგში დგანან".

საქართველოს გასაბჭოების მესამე წლის თავს ჩვენ ვხვდებით თამამად. მშრომელ ხალხს ჩვენ ჩავაბარებთ ანგარიშს. ჩვენ ამ ანგარიშის არ გვეშინია, რადგან ვიცით, რომ გაკეთდა ბევრი რამ მნიშვნელოვანი და საყურადღებო. 25 თებერვლის აქტი სავსებით გამართლებულია.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენ გვიხდება ზეიმობა მაშინ, როცა ამ ზეიმის, ე. ი. რევოლიუციის გამარჯვების მთავარი გმირი ჩვენთან უკვე აღარ არის, როცა ლენინი ხორციელად განგვშორდა. ეს თავის ელფერს დასდებს დღესასწაულს.

მაგრამ ლენინის სული თავზე დაგვტრიალებს. მისი ანდერძი, მისი მოძღვრება, მის გზები დაუვიწყარია.

25 თებერვალს ჩვენ ერთხელ კიდევ დავსდებთ ფიცს, რომ ვივლით დიდი მასწავლებლის გზით, არასოდეს არ გადაუხვევთ მას.

ერთი უმთავრესი ანდერძი ლენინისა მდგომარეობს მუშის და გლეხის კავშირის განმტკიცებაში.

დღეს, როცა კიდევ არ არის საბოლოოდ დაძლეული „მაკრატლის" საფრთხე, უფრო მეტად გვმართებს, ვინემ როდისმე, ყოველი ღონე ვიხმაროთ სოფლის და ქალაქის კავშირის შემდეგი განმტკიცებისათვის.

ჩვენი წარსული მუშაობა და ენერგია, თავდადება ხალხის ინტერესებისა და რევოლიუციისათვის იმის თავდებია, რომ შევსძლებთ როგორც ამ, ისე სხვა წამოჭრილ საკითხების წარმატებით გადაჭრას და ქვეყნის ყოველმხრივ აღორძინებას.

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამომცემლობის შესახებ *)

პარტიის წინაშე ამჟამად რთული ამოცანა დგას,—სოფლის მეურნეობის აღორძინების, ინტენსიური კულტურის საშუალებით სასოფლო მეურნეობის პროდუქციის გაძლიერების ამოცანა. როგორ შეუძლია პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას გადასჭრას ეს საკითხი? ამისათვის საჭიროა აგრონომიულ ცოდნათა პროპაგანდის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ჩვენს პრესაში დაისვა აგრონომიული პროპაგანდის საკითხი. მთელ რიგ წერილებში მიუთითებენ ამა თუ იმ ღონისძიებათა განხორციელების საჭიროებაზე.

მე ვფიქრობ, რომ საკითხი პირველათ სხვა ნიადაგზე უნდა დაისვას. როცა ჩვენ ვსწერთ იმის შესახებ, რომ საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კურსების მოწყობა სოფლის კომუნისტებისათვის, ჩვენ წინაშე დგება კითხვა: საკმაოთ ვიზრუნეთ კი დღემდი იმისათვის, რომ შეგვქმნათ თუგინდ ელემენტარული სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა? ამ კითხვაზე მე უპასუხებ,—არა, არ გვიზრუნია. და მხოლოდ ახლა, რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ქვე-განყოფილებამ შეიმუშავა აგრარული პროპაგანდისათვის მთელ რიგ წიგნების გამოცემის გეგმა. სწორია ეს? უნდა მიიღოს თუ არა პარტიამ უშუალო მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემის საქმეში? ჩვენ ხომ სახელმძღვანელოები არ გვაქვს შრომის სკოლებისათვის, არ გვაქვს სახელმძღვანელოები საბჭოთა და პარტიულ სკოლებისათვის, განსაკუთრებით ნაციონალურ ენებზე. და აქ ჩვენ ვამჩნევთ სრულ არევდარევას, სრული გეგმის უქონლობას და ბოლოს საგამომცემლო ფუნქციების განაწილების უქონლობას.

პარტიამ უნდა დააყენოს აგრონომიული ლიტერატურის გამოცემის საკითხები, მაგრამ ისინი მან უნდა განახორციელოს საბჭოთა ორგანოების ან სპეციალური გამომცემლობის საშუალებით. მოსკოვში არის ასეთი სპეციალური გამომცემლობა „ახალი სოფელი". ეს გამომცემლობა მოწყობილია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მონაწილეობით და მან უკვე გამოსცა მთელი რიგი სასარგებლო წიგნები. რასაკვირველია, ფუნქციების ასე განაწილების დროს რ. კ. პ. ც. კ. და მოსკოვის კომიტეტს არ უხდება სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამომცემლობის წარმოება.

როგორ მდგომარეობაშია საქმე საქართველოში? სათანადო ყურადღება ექცეოდა აგრონომიული ლიტერატურის გამოცემას? არა, არ ექცეოდა. პირიქით, ჩვენ შევამცირეთ ეს გამომცემლობა. რამდენიმე თვის წინათ ტფილისში გამოდიოდა გლეხური გაზეთი „მიწის მუშა". ამ გაზეთმა მოიპოვა პოპულიარობა და გლეხები შეეჩვიენ მის კითხვას. უსათუოდ ეს გაზეთი მაგრათ დადგებოდა ფეხზე და დიდ სარგებლობას მოიტანდა. მაგრამ ის ჩვენ ყოველდღიური გაზეთიდან ყოველკვირეულ ჟურნალად გადავაქციეთ. ეს ნაბიჯი შემცდარათ უნდა ჩაითვალოს. გლეხობასთან კავშირის განხორციელება, მისთვის ელემენტარული აგრონომიული ცოდნის მიცემა უფრო ადვილია ყოველდღიური გაზეთის, ვიდრე ყოველ-კვირეული ჟურნალის საშუალებით.

ახლა, როცა ჩვენ ვაყენებთ საკითხს აგრონომიული პროპაგანდის შესახებ და ვაყენებთ მას სერიოზულათ, საჭიროა აგრეთვე ვიფიქროთ გამომცემლობის შესახებაც. ამას უნდა მიაქციონ ყურადღება ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებმა. პარტიას არ შეუძლია და მან არ უნდა აწარმოოს აგრონომიული ლიტერატურის გამოცემის საქმე. მან მხოლოდ უნდა უხელმძღვანელოს ამ საქმეს. ამ რამდენიმე ხნის წინეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო განყოფილებაში გაიმართა პატარა თათბირი ამ საკითხზე. თათბირმა გამოიტანა დადგენილება მტკიცედ დააყენო საბჭოთა და პარტიული ორგანოების წინაშე საკითხი აგრონომიული ლიტერატურის გამოცემის შესახებ. თათბირის ხმას მხარი უნდა დავუჭიროთ. ჩვენს გლეხებს სწყურიათ აგრონომიული ცოდნის მიღება, ჩვენი კი მათთვის მიწის კოდექსის ელემენტარული განმარტებაც კი არ მიგვეცია ჯერ. აგრონომიული პროპაგანდა ცარიელი ხმა იქნება, თუ ჩვენ არ მოვაწყობთ სათანადო გამომცემლობას. ჩვენ ვაყენებთ ზოგიერთ კონკრეტიულ წინადადებებს:

1. ამიერ-კავკასიის თვითეულ რესპუბლიკაში უნდა ვიქონიოთ ყოველდღიური გლეხური გაზეთი. ამისდამიხედვით „მიწის მუშა" კვლავ უნდა გადავაქციოთ უკანასკნელათ ყოველდღიურ გაზეთად.

2. პარტიულმა კომიტეტებმა უნდა განახორციელონ თავისი ხელმძღვანელობა აგრონომიული ლიტერატურის გამომცემლობაზე, პარტიულ კომიტეტთან მის მოუწყობლად.

3. საჭიროა აგრონომიული ლიტერატურის სპეციალურ გამომცემლობათა მოწყობა ნაციონალურ რესპუბლიკებში. ამ გამომცემლობათ მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს მიწათმოქმედების კომისარიატებთან, ისინი უნდა მოეწყონ უკანასკნელთა უახლოესი თანამშრომლობით. მიწათმოქმედების კომისარიატმა უკეთ იცის, ვიდრე სხვა ვინმემ, რა გამოიცეს და როგორ გამოიცეს ნაციონალურ ენაზე მიწის საკითხის გამო ამა თუ იმ რესპუბლიკისათვის.

4. ასეთი გამომცემლობის მოსაწყობათ ახლო ხანში მიწათმოქმედების კომისარიატებს უნდა მიეცეს დავალება. ნაციონალურ ენებზე უნდა გამოიცეს აუცილებელი პოპულიარული წიგნაკები აგრონომიიდან.

კ. ორაგველიძე.

ინტელიგენცია და საბჭოთა ხელისუფლება

2. ინტელიგენცია და რევოლიუცია

ინტელიგენციის დამოკიდებულება რევოლიუციისადმი და განსაკუთრებით კი სოციალისტურ რევოლიუციისადმი განისაზღვრება იმ მომენტით, თუ რომელი კლასის სულისკვეთებას და მიზნებს გამოხატავს ესა თუ ის ინტელიგენტთა წრე. სოციალისტური რევოლიუციის მთავარ ძალასა და სულის ჩამდგმელ ელემენტს წარმოადგენენ სოციალური კლასები: პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელობით მთელი მშრომელი მასები ამ მოძრაობის დროს თამაშობენ უაღრესად აქტიურ როლს და ისინი არიან რევოლიუციონური პროცესის შინაარსის მიმცემნი; ამის საწინააღმდეგო პოლიუსზე სდგანან ყველა მყვლეფელი კლასები, რომელნიც ყოველის ძალღონით სცდილობენ შეაფერხონ რევოლიუციის საქმე და დაიცვან ძველი წესწყობილება. საერთოდ აღებული ინტელიგენცია, რომელიც შესდგება როგორც ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან, ისე პროლეტარულ ნაწილისაგან, თავის მხრით მკაცრად იყოფა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად და გამოხატავენ ზემოდ აღნიშნულ სოციალური კლასების სულისკვეთებასა და იდეოლოგიურ მრწამს; ამისდამიხედვით ინტელიგენციის დამოკიდებულებას სოციალისტურ რევოლიუციისადმი ეძლევა სხვადასხვა ხასიათი და შინაარსი.

როგორც ვიცით, რუსეთის გაბატონებულმა კლასებმა—ბურჟუაზიამ და მემამულეებმა აშკარა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს სოციალისტურ რევოლიუციას და ყოველის ძალღონით სცდილობდენ სისხლის მორევში ჩაეღრჩოთ მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ამ ბრძოლას გარკვეული კლასთა ბრძოლის შინაარსი ჰქონდა. გამარჯვებულმა პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ გამოდევნეს კაპიტალისტები ფაბრიკა-ქარხნებიდან, ფეოდალები მამულებიდან და ამით ხელიდან გამოაცალეს მათ თავიანთი ბატონობის ეკონომიური საფუძვლები; ძლევამოსილმა რევოლიუციამ ეს ქონება ხალხის საერთო კუთვნილებად გადააქცია. ამ აქტმა ბუნებრივად გამოიწვია საწინააღმდეგო მოქმედება კაპიტალისტებისა და ფეოდალების მხრით. როგორც ამ სოციალურმა წრეებმა, ისე მათი წიაღიდან გამოსულმა და მათი იდეოლოგიის მატარებელმა ინტელიგენციამ გარკვეული კონტრ-რევოლიუციით უპასუხა მუშათა მოძრაობას და მისი მოსისხლე მტერი შეიქმნა. ამ რეაქციონურმა ინტელიგენციამ გაუწია ყველგან და ყოველს პირობებში რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერების გამოსვლას მეთაურობა და მისი ხელმძღვანელობით სწარმოებდა სამოქალაქო ომი მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ; იგი აწყობდა შიგნით აჯანყებასა და საბოტაჟს ახალი მთავრობის გასანადგურებლად, ხოლო გარედან კავშირს კრავდა საერთაშორისო კაპიტალის აგენტებთან მაგარი კონტრ-რევოლიუციონური მუშტის შესაქმნელად. ყოველი ფრონტითა და მიმართულებით რეაქციონური ინტელიგენცია სცდილობდა შემაფერხებელი ზღუდეები შეექმნა ახალი ხელისუფლებისათვის და გაენადგურებინა ის.

სხვა საყურადღებო მომენტებთან ერთად, განსაკუთრებით საყურადღებოა საბოტაჟის მეთოდის გამოყენება ინტელიგენციის მხრით. როგორც ვიცით, ძველი წყობილების ყოველი დაწესებულება, ყოველი დარგი ცხოვრებისა გავსებული იყო ძველი მთავრობის აგენტებით, მათი მოხელეებით. სახელმწიფო დაწესებულებები, ადმინისტრატიული აპარატი, სასამართლო, სკოლა, ჯარი—აღვსილი იყო იმ მოხელეებით, რომელნიც ძველი წყობილების ღვიძლ შვილებს წარმოადგენდენ. ამ რეაქციონურ ძალებს არ შეეძლოთ გულხელდაკრეფილი ეცქირათ ახალ მოვლენებისათვის და მათაც ომი გამოუცხადეს მუშურ-გლეხურ მთავრობას საბოტაჟით, გაფიცვით, სახელმწიფო აპარატის მოძრაობის შეჩერებით.

ენგელსი გარკვევით აღნიშნავდა ჩემ მიერ უკვე ნახსენებ წერილში რეაქციონური ინტელიგენციის ასეთის მოქმედების შესაძლებლობას. იგი სწერდა ბებელს: „თუ ჩვენ ომის წყალობით ნაადრევად მოვექცით თავში სახელმწიფოს, მაშინ ტეხნიკოსები ჩვენი დაუძინებელი მტრები იქნებიან და რაც შეუძლიათ მოგვატყუებენ და გვიღალატებენ. ჩვენ მივაღებთ ზომებს მათ დასაშინებლად, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც მოგვატყუებენ. საფრანგეთის რევოლიუციაში რამოდენიმედ ეს ყოველთვის ხდებოდა. იქ იძულებული იყვნენ შეევსოთ, ჩვეულებრივ ადმინისტრაციაშიაც კი, მეორე ხარისხოვანი თანამდებობები, — არსებითად სწორედ ამათ აწევით კისერზე ნამდვილი მუშაობა,—ძველი რეაქციონერებით; ესენი კი უშლიდენ ხელს და აჩანაგებდენ ყველაფერს". („წერილები" გვ. 339).

რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობის პროცესში ამ რეაქციონურმა ინტელიგენციამ არა ნაკლები სახელი დაიმსახურა, ვინემ საფრანგეთის რევოლიუციის დროს, და არა ნაკლების ძალ-ღონით მოინდომა ახალი საქმის გაჩანაგება. ასეთს პირობებში მუშურ-გლეხური ხელისუფლების ერთ-ერთ მორიგ ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფო აპარატის ძირითადი რეორგანიზაცია, მისი გარდაქმნა რევოლიუციონურის გზითა და იქიდან გამოდევნა იქ გაბატონებულ რეაქციონურ მოხელეებისა. მაშინდელს ობიექტიურს პირობებში ასეთი აქტის მოსახდენად გადამჭრელს როლს თამაშობდა რევოლიუციონური ტერორი, რომლის მთავარ დანიშნულებას შეადგენდა არა მარტო დაწესებულებებიდან გამოდევნა რეაქციონური ინტელიგენციის, არამედ მათი კადრების დაშლა, გახრწნა და განადგურება. რეაქციონური ინტელიგენცია მშრომელი ხალხის კლასიური მტერი შეიქმნა და მის ხელში აღმოჩნდა მთელი სახელმწიფო დაწესებულებების მთავარი სადავეები. ასეთს პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ახალ ხელისუფლებას არ ჰყავდა გამოცდილი და საკმაო კადრი პარტიული ინტელიგენტებისა, კონტრ-რევოლიუციონურ ინტელიგენტის წინააღმდეგ ერთადერთ საბრძოლველ იარაღად გარდაიქცა რევოლიუციონური ტერორი, რომელმაც დაუნდობლად გამოფერთხა რეაქციის აგენტები სახელმწიფოს აპარატიდან და გაანადგურა მათი რიგები. სწორედ ამ ეპოქის დამახასიათებელ ისტორიულ გამოთქმას წარმოადგენს ლენინის თქმა: თუ საჭირო გახდება ჩვენ სახელმწიფოს სათავეში მზარეულ ქალებსაც დავაყენებთო.

რეაქციონური ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლა მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ სრულის გამარჯვებით დააგვირგვინა და დიდმა რევოლიუციამ მის არსებობას სამუდამოდ მოსტეხა კისერი. რევოლიუციონურმა მოძრაობამ ძირიანად დაარღვია ძველი წყობილების ეკონომიური საფუძვლები და ახალი შინაარსი მისცა სამეურნეო ცხოვრების ურთიერთობას; ამით ძირშივე გამოეცალათ რეაქციონურ წრეებს მათი არსებობის მთავარი წყარო და სოციალური ბაზა და ისინიც რევოლიუც. მოძრაობის ორომტრიალში სამუდამოდ შთაინთქენ, როგორც ყოველგვარ ნიადაგს მოკლებული პარაზიტი. რეაქციონური ინტელიგენცია, რომელიც შემოკრებული და დარაზმული იყო ძველი წყობილების სახელმწიფო დაწესებულებებში, შავრაზმელსა და ბურჟუაზიულს პარტიების ირგვლივ, უნივერსიტეტში, პრესის ორგანოებში, „საზოგადოებრივ" დაწესებულებებში,—ეს ინტელიგენცია, როგორც ორგანიზაციული ძალა, გადაშენდა, მათი მავნე გავლენისაგან გაიწმინდა ახალი საზოგადოებრივი ორგანიზმი, რადგან თვით ეს დაწესებულებები გადახალისდა პროლეტარულს ნიადაგზე, მაგრამ ჩვენ დაგვრჩა მათი წრის ცალკე ინტელიგენტური ძალები, რომელთა გამოყენება სავსებით შესაძლებელია არსებულ პირობებში სალი, მიზანშეწონილი პოლიტიკის წარმოებით.

რეაქციონური ინტელიგენციის სრულიად საწინააღმდეგო პოლიუსზედ სდგას ის ინტელიგენცია, რომელიც პროლეტარიატის წრეებიდან გამოვიდა, მათი მისწრაფება და იდეოლოგია შეითვისა და მათთან ერთად ეწეოდა მძიმე უღელს ძველი წყობილების დამხობის საქმეში. რევოლიუციონური ინტელიგენცია, შემოკრებილი პროლეტარიატის პარტიულ ორგანიზაციის გარშემო, თავდავიწყებით ჩაება ახალი წყობილების აშენების საქმეში და უხვ დახმარებას უწევდა მუშათა კლასს ყოველ ფრონტზე. ამ ინტელიგენციამ მებრძოლ პროლეტარიატთან ერთად ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს და შეურყეველ საფუძველზე ააგო მშრომელი ხალხის სისხლით მოპოვებული მუშურ-გლეხური სახელმწიფო. ამ ინტელიგენციის წყალობით და მათი ენერგიული დახმარებით შესაძლებელი შეიქმნა ძველი „მოხელე-ბაცილის" გამოდევნა სახელმწიფო დაწესებულებიდან და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი დარგის მოძრაობაში მოყვანა რევოლიუციის ინტერესების სასარგებლოდ.

შიგნით იგი ენერგიულად აწარმოებს სააღმშენებლო მუშაობას ფართო მასშტაბით, სამეურნეო, კულტურულს, სამხედრო, პოლიტიკურ ფრონტის გამაგრება შეურყეველს ნიადაგს უყრის სოციალისტურს წყობილებას, გარედ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის სფეროში შეუდარებელის სიმამაცით არკვევს ჩვენი რესპუბლიკების სავალ გზებს. ყველა ამ ფრონტებზე ბრძოლა და მუშაობა დიდი ენერგიის დახარჯვას მოითხოვს ინტელიგენციისაგან და იგიც უხვად იღებს თავის სულიერ ძალას და ფიზიკურ ღონეს მშრომელი ხალხის სასარგებლოდ.

ამ ინტელიგენციამ მემკვიდრეობით მიიღო დიდი მასწავლებლის, ლენინის რევოლიუციონური ანდერძი. იგი სავსებით მოიხარშა პროლეტარულ პარტიის ქვაბში და დღეს მისი საიმედო აგენტის როლს ასრულებს.

ხ. ხ.

პარიზი და მოსკოვი

3. ძალთა გადაჯგუფება.

ფაქტიურად დაშლილი მოკავშირეთა მთლიანობა ფორმალურადაც დაიშალა. შეუძლებელი შეიქნა ანტანტის სახელმწიფოების ინტერესთა შერიგება. შინაგანი ჭიდილი, რომელიც არღვევდა მათ გამოსვლებს საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, დღეს თავის გარეგან გამოხატულებას ჰპოებს ამ რესპუბლიკების ცნობაში ინგლის-იტალიის მიერ.

ვაშინგტონის კონფერენციაზედ ბრიანი აცხადებდა — შეუძლებელია საფრანგეთის განიარაღება, რადგან რუსეთს ფაქტიურად 6 მილიონი ჯარის კაცი ჰყავს და შეუძლია ყოველ წუთში ევროპას დაესხასო. თუ რამდენათ საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა რესპუბლიკები ახალ ომის დაწყების სურვილით, ეს დღეს ყველას ესმის. საბჭოთა ქვეყნებმა მაქსიმალური დათმობა დაუშვეს კერზონის ცნობილი ნოტის დროს, ასეთივე მაქსიმალური დათმობა დაუშვეს მთელ რიგ სახელმწიფოებში წარმომადგენელთა მოკვლის თუ უფლებათა დარღვევის დროსაც.

საფრანგეთმაც კარგად იცოდა, რომ ჩვენი წითელი არმია 6 მილიონს არ აღწევს, მაგრამ იგი წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო განიარაღების, რადგან თითონ მას იმპერიალისტური მიზნების მიღწევა დღის წესრიგში ჰქონდა დასმული. ჩვენ კიდეც დავინახეთ რურის ოკუპაციის ფაქტი.

გაძლიერებული საფრანგეთი იარაღით ხელში იჭრება ცენტრალურ ევროპაში და ხელში იგდებს გერმანიის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრებს. ინგლისი, თავისი მხრივ, რა თქმა უნდა, ურიგდება გერმანიის დამხობას, მაგრამ იგი წინააღმდეგია საფრანგეთის აშენების. ამდენათვე ინგლისის ბურჟუაზია გერმანიის საკითხში დღეს საფრანგეთის ბურჟუაზიას უპირისპირდება.

საფრანგეთის გაძლიერება სცემს ინგლისის ბატონობას. საფრანგეთის ძლიერება კი გამტკიცდება თუ მას ხელში დარჩა რურის მაღარეობი, თუ მან შესძლო თავისი პოლიტიკის წარმართვა იმ სახით, როგორადაც მიდიოდა ამ უკანასკნელ წლებში. ინგლისი ერთი მხრივ საფრანგეთის გავლენის შესუსტებას ისახავს მიზნათ, მეორე მხრით გერმანეთთან ეკონომიური ურთიერთობით იგი ცდილობს თავის მრეწველობას შეუქნას ხელსაყრელი პირობები.

საბჭოთა რესპუბლიკების საკითხიც ამ მთლიანი პოლიტიკის ფონზედ იჭრება. რეაქციონური პარიზის შესუსტების გამო ბურჟუაზიული ლონდონი სცნობს სოციალისტურ მოსკოვს. ეს საერთო კაპიტალისტური თვალსაზრისით დაუშვებელია, მაგრამ „საერთო" ინტერესები არ არსებობს მეტოქეობის ბურუსში გახვეულ იმპერიალისტებისათვის. ისტორიულადაც იშვიათი არ არის მსგავსი მოვლენა. ამერიკის რევოლიუციონურ მოძრაობას „თანაგრძნობით" ეპყრობოდა მეფის რუსეთი, რადგან ის მიმართული იყო ინგლისის წინააღმდეგ, ოსმალეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის წინეთ, „მხარს უჭერდა" ინგლისის ბურჟუაზია, რადგან იგი მიმართული იყო რუსეთის გაძლიერების წინააღმდეგ აღმოსავლეთში. ამერიკის შეერთებული შტატები „ემხრობოდა" ჩინეთის რევოლიუციას, რომელიც იბრძოდა ამერიკის მეტოქეობის წინააღმდეგ აღმოსავლეთში. ამ ლოღიკით დღეს ბურჟუაზიული ინგლისი სცნობს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებს, რომ იგი გამოიყენოს თავისი სამრეწველო ცხოვრების აღდგენისათვის და ამით კი შეასუსტოს საფრანგეთის ბატონობა.

ამრიგად საფრანგეთი განმარტოვებული რჩება. მისმა იარაღმა არ გასჭრა საბჭოთა რესპუბლიკებზედ. არ მოხდა ამ უკანასკნელთა დამხობა და ძველი მდგომარეობის დაბრუნება საფრანგეთისათვის. საფრანგეთის დიპლომატიის შეურიგებელმა პოლიტიკამაც მოკავშირეთა ბანაკში ვერ იპოვა მომხრენი. პარიზი ყველაზე მეტად იყო ამხედრებული საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ და დღეს იგი ყველაზე მეტად დაზარალებული ჩვენთან ბრძოლაში, მარტოდ არის დარჩენილი.

ცხადია, საფრანგეთისათვის ერთად-ერთი გონიერი გზა რჩება. ეს გზა არის საბჭოთა კავშირის ცნობა. მარტო ინგლისმა რომ არ ისარგებლოს ჩვენთან ეკონომიური ურთიერთობით, საფრანგეთიც უნდა შეეცადოს აქ მეტოქეობა გაუწიოს ინგლისს. ამას მოითხოვს მოვლენათა მიმდინარეობის შინაგანი ლოღიკა. ამით კი აუცილებლად ჩვენ ბევრს მოვიგებთ.

საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობა უეჭველად მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკებთან დაახლოვებას. მართალია საფრანგეთი, როგორც უმთავრესად ჯერ კიდევ სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა, იმდენათ დაინტერესებული არ არის ჩვენით, როგორც ინგლისი, მაგრამ საფრანგეთის საქონლისათვის, მანუფაქტურისათვის უმთავრესად, ჩვენ გამოსადეგი ვართ, როგორც მიმღები ბაზარი.

საფრანგეთი ვალებშია ჩაფლული. მან ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა გადაუხადოს 3.350,8 მილ. დოლარი, ინგლისს—5,959 გირვანქა სტერლინგი და სხვა. მართალია საფრანგეთსაც აქვს თავისი მხრივ გასანაღდებელი მიღებული თამასუქები, მაგრამ აქ პირველ ადგილზედ სდგას საბჭოთა რუსეთი, რომლიდანაც საფრანგეთი გროშს ვერ მიიღებს. სხვა ქვეყნები კი, როგორც მაგ. ბელგია, სამხრეთ სლავია, რუმინია, საბერძნეთი, პოლონეთი, იტალია და სხ. არ წარმოადგენს საფრანგეთის კაპიტალის მიერ დიდად დავალიანებულ ქვეყნებს (რამოდენიმედ ბელგიის გამოკლებით, რომელსაც აქვს მისი ვალი 3.684 მილ. ფრანკი). მისაღებია მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ეს ქვეყნები მოკლებულია გადამხდელობით უნარს და ამდენათვე საფრანგეთის ვალების საქმე მეტად მძიმე მდგომარეობაშია.

როგორც ვიცით საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში თანდათან მუშავდება აზრი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. ობიექტიური გარემოებანი უეჭველად უკარნახებენ მას ამ გზით სიარულს.

აქვე აღსანიშნავია პატარა სახელმწიფოთა ბედი. ეგ. წოდ. მცირე ანტანტის შემადგენელ ერთეულთა ბედი, მის შემდეგ, რაც ევროპის სასახელმწიფონი იცნობენ ჩვენს კავშირს.

ავიღოთ პოლონეთის პოლიტიკური მდგომარეობა.

როგორც წინა წერილებში აღვნიშნეთ პოლონეთი სარგებლობდა იმ პოლიტიკური ვითარებით, რომელიც შეიქმნა მოკავშირეთა დაპირისპირებით საბჭოთა რესპუბლიკების და გერმანეთის მიმართ. განსაკუთრებით ჩვენს წინააღმდეგ ენერგიულად ამხედრებული საფრანგეთი უხვ დახმარებას უწევდა პოლონეთს როგორც ფინანსიურად, ისე სამხედრო იარაღებისა და ცოცხალი ძალის მხრივაც. ჩვენ კარგად გვესმოდა პოლონეთის პრესის გოდება, როდესაც დაახლოვებით ამ ერთი წლის წინათ, პარიზსა და მოსკოვს შორის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი. ბურჟუაზიული პოლონეთი მაშინ სტიროდა თავის ბედს, რადგან ძალთა დაპირისპირების მოხსნა პარიზსა და მოსკოვს შორის, უდრიდა პოლონეთის მიტოვებას საკუთარი ძალების ანაბარა გერმანიისა და საბჭოთა რესპუბლიკების გარემოცვის პირობებში. თუ ეს არ მოხდა წინეთ, უნდა ვიფიქროთ ეს მოხდება ახლო მომავალში. ეს კი იქნება უდიდესი მომენტი, რადგან პოლონეთი თავს ვერ დააღწევს რევოლიუციონურ მოძრაობას. გაერთიანება რუსეთისა და გერმანეთის მოძრაობის კი იქნება ევროპის რევოლიუციის ნახევრად გამარჯვება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ის პოლიტიკური ვითარება, რომელიც იწყება ანტანტის სახელმწიფოთა შორის განხეთქილებით, ჰქმნის პირობებს პოლიტიკურ ძალთა ხელახალი გადაჯგუფებისათვის.

მცირე ანტანტის სახელმწიფონი აღარ იქნება დიდი ანტანტისათვის იმდენად საჭირო, როგორც წინეთ, როდესაც აქტიური სამხედრო მოქმედება და ეკონომიური ბლოკადა იყო მათთვის საჭირო საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. დიდი ანტანტის „მფარველი" ხელი მოშორდება მცირე ანტანტის სახელმწიფოებს. ეკონომიური შეჯიბრების პროცესში მცირე ანტანტის ფართე წრეები დარწმუნდებიან, თუ რამდენათ საზარალოა მათი კავშირი დიდ იმპერიალისტურ ქვეყნებთან და რამდენათ სასარგებლოა მათი დაახლოვება საბჭოთა რესპუბლიკებთან. მცირე ანტანტის სახელმწიფოებში გაცილებით ხელსაყრელი პირობები დადგება რევოლიუციონური მოძრაობისათვის, ვიდრე დღემდი არსებობდა.

რასაკვირველია, ყოველივე ეს შედეგი ხდება არა იმ ნოტების, რომელშიაც თეთრზე შავით მოხაზულია საბჭოთა რესპუბლიკების იურიდიული ცნობა, არამედ იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალთა განწყობილების, რომელიც შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკების გამტკიცებით და ევროპის კაპიტალიზმის დაცემის გზისაკენ დაქანებით. ეს ძირითადი ხაზის სისწორე ბარომეტრი ხდება პოლიტიკური მოვლენათა შეფასებისათვის. ეს ძირითადი ხაზი, ასე ვსთქვათ, თანამედროვე ეპოქის მაჯისცემა, ჩვენ სისწორით შევაფასეთ. ამიტომ ჩვენი საბოლოო გამარჯვების სიმაგრეებს ახალ-ახალი ზღუდეები ამტკიცებს. ისტორიის სარბიელზედ გამოვიდა „მეოთხე წოდება" მოსკოვის ხელმძღვანელობით, ისტორიის წარსულს რჩება „მესამე წოდება" პარიზის მეთაურობით.

ხერ. ამაღლობელი.

კომინტერნში

მხოლოდ რევოლიუცია და პროლეტარიატის დიქტატურა გაანთავისუფლებს მუშათა კლასს

მოსკოვი. 18 თებერ. კომინტერნის აღმასკომის რეზოლიუციაში ინგლისის მუშათა მთავრობის და ინგლისის კომპარტიის შესახებ ნათქვამია, რომ **ძალაუფლება მუშათა პარტიის ხელში გადავიდა ნაწილობრივ ბურჟუაზიული პარტიების სურვილის თანახმად, ნაწილობრივ კი ინგლისის ბურჟუაზიის რიგების დაშლის გამო. ინგლისის კომპარტიას არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ მუშათა კლასი განთავისუფლდება არჩევნებში მუშათა პარტიის გამარჯვების ან მუშათა პარტიის პარლამენტარული საქმიანობის წყალობით. ინგლისის „მუშური" მთავრობა არ არის პროლეტარული, კლასობრივი ბრძოლის მთავრობა,** პირიქით, ის ცდილობს გაამაგროს ბურჟუაზიული წყობილება რეფორმების საშუალებით. **მუშური მთავრობა, რომელიც შესდგება პროფკავშირების ბიუროკრატებისაგან, პარლამენტარისტებისაგან და რადიკალური ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან,** არ იწვევს ამ მხრივ ნდობას. **ინგლისის კომპარტიის მოვალეობას შეადგენს მოახდინოს მუშათა ფართე მასების მობილიზაცია, რომ აიძულოს მუშათა მთავრობა და მუშათა პარტია დაიწყოს სერიოზული ბრძოლა კაპიტალისტებთან,** გამოუცხადოს ბრძოლა უმუშევრობას კაპიტალისტების დაბეგვრის საშუალებით, გაატაროს სახელმწიფო და მუშათა კონტროლი მრეწველობაზე და კაპიტალისტებზე, მოახდინოს რკინისგზების და მაღაროების მობილიზაცია. მიიღოს ენერგიული ზომები ირლანდიის, ინდოეთის და ეგვიპტის მუშებისა და გლეხების გასანთავისუფლებლად ინგლისის კაპიტალის ბატონობისაგან, ებრძოლოს ომის საფრთხეს და შეუთანხმდეს საბჭოთა კავშირს.

კომპარტიამ უნდა შეინარჩუნოს თავისი იდეოლოგიური, ტაქტიკური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა, მან ენერგიული პროპაგანდა უნდა აწარმოოს თავისი პრინციპების განსახორციელებლად, რომლებიც ლაპარაკობენ, რომ მხოლოდ რევოლიუცია და პროლეტარიატის დიქტატურა გაანთავისუფლებს მუშათა კლასს კაპიტალის ბატონობისაგან. კომპარტია უნდა შეეცადოს შეუთანხმდეს საერთო მოქმედების შესახებ ამა თუ იმ ღონისძიების გამო ადგილობრივ ორგანიზაციებს და მუშათა პარტიას.

---

*) საკამათოთ.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკ როსტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

მოსკოვში ჩამოვიდა იტალიის ელჩი

რუსეთის ყოფილი იმპერიის ქონება იტალიაში გადაეცემა საბჭოთა საელჩოს რომში

ინგლისში: თემთა პალატაში მაკდონალდმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა კეთილსინდისიერად ასრულებს საერთო ვალდებულებებს თევზის მჭერავთა მიმართ.

იტალიაში: ამიერიდან რომში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მაგივრად იქნება საბჭოთა საელჩო.

ნორვეგიაში: საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კოლონტაიმ მიიღო მრავალი მილოცვები საბჭოთა კავშირის ცნობის გამო.

იტალიის ელჩის ჩამოსვლა მოსკოვში

მოსკოვი. 18 თებერ. **17 თებერვალს მოსკოვში ჩამოვიდა იტალიის საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი გრაფი მანცონი.**

ალექსანდრეს სადგურზე ელჩს შეხვდენ საგარეო საქმეთა კომისარიატის განყოფილებათა გამგეები ამხ. კოგანი, ამხ. ფლორინსკი, ამხ. კანტოროვიჩი და იტალიის საელჩოს წევრები მოსკოვში იტალიის რწმუნებულის მარკიზ პატერნოს მეთაურობით. სადგურზე ელჩს შეხვდა აგრეთვე საპატიო ყარაული ორკესტრით. საგარეო საქმეთა კომისარიატის წარმომადგენლებთან მისალმების შემდეგ გრაფი მანცონი გაემგზავრა საელჩოში.

ინგლისში

ინტერვენციისაგან გამოწვეულ ზარალის კომპენსაციის შესახებ.

ლონდონი. 16 თებ. თემთა პალატაში დეპუტატმა კენვორტიმ შეიტანა შეკითხვა: განზრახული აქვს თუ არა ინგლისის მთავრობას შეადგინოს სპეციალური კომისია საბჭოთა რუსეთში ინგლისის ინტერვენციის გამო გამოწვეულ ზარალის ანაზღაურების საკითხის გამოსარკვევად, ვინაიდან საბჭოთა მთავრობა მოითხოვს ინტერვენციისაგან გამოწვეულ ზარალის ანაზღაურებას. პონსონბიმ უპასუხა, რომ ასეთი კომისია საჭირო არ არის, ვინაიდან საბჭოთა მთავრობა, ალბად, თვით აღძრავს ამ საკითხს.

კენვორტიმ აღნიშნა, რომ ინტერვენციის სკანდალური ისტორია გამორკვეული უნდა იქნას. მან აგრეთვე მიუთითა მესოპოტამიის და დარდანელის სკანდალებზე.

თეთრ ზღვაზე თევზის ჭერის შესახებ.

ლონდონი. 16 თებ. თემთა პალატაში აღძრულ საკითხის გამო, თითქოს საბჭოთა მთავრობამ უარი სთქვა თავის ვალდებულებებზე თეთრ ზღვაზე მეთევზეთა მიმართ, მაკდონალდმა სთქვა, რომ საბჭოთა მთავრობას უარი კი არ უთქვამს თავის ვალდებულებებზე, არამედ, პირიქით, იგი სცდილობს ხელი გაუწოდოს ინგლისის მთავრობას ყველა მთავარ საკითხებში.

ჩვენ არ შეგვიძლია ბრალი დავსდოთ საბჭოთა მთავრობას იმაში, რაშიაც ის დამნაშავე არ არის მით უმეტეს, რომ ჩემის აზრით, ნაწილობრივ ჩვენ თვით მიგვიძღვის დანაშაული თევზის ჭერის გარშემო შექმნილ ინცინდენტში.

უაზრობა იქნება დაუბრუნდეთ ამ სამწუხარო ინცინდენტს, რათა ეჭვი შევიტანოთ საბჭოთა მთავრობის გულწრფელობაში, რომელთანაც ჩვენ უნდა დავიჭიროთ მჭიდრო ურთიერთობა.

მაკდონალდი საბჭოთა კავშირსა და იტალიის შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ.

ლონდონი. 16 თებ. უპასუხა რა ბალდვინის შეკითხვაზე საბჭოთა კავშირისა და იტალიის შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ, მაკდონალდმა სთქვა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის მთავრობა მიიღებს ისეთსავე უფლებებს, როგორიც მიენიჭება ყოველ სხვა სახელმწიფოს, რომელიც საბჭოთა მთავრობას იცნობს. მე ვფიქრობ, სთქვა მაკდონალმა, ჩვენ ყველაზე უკეთესად მოვიქეცით, როცა მოლაპარაკებას ამგვარად და პატიოსნად ვაწარმოებთ.

პოლონეთი.

საბჭოთა კავშირის ცნობა—ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი

ვარშავა. 16 თებერვალი. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზამოისკიმ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ **საერთაშორისო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს ამჟამად წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ცნობა იურიდიულად.**

ზამოისკის სიტყვით, ბალტიის სახელმწიფოების კონფერენციამ უნდა გამოიმუშავოს საერთო პლატფორმა საბჭოთა კავშირის მიმართ.

ესტონეთი

ესტონეთს სურს მეგობრული ურთიერთობა რუსეთთან.

ვარშავა. 16 თებერვალი. ვარშავაში ჩამოვიდა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰაკკელი. ჟურნალისტებთან საუბრის დროს აკკელმა განაცხადა, რომ **ესტონეთს სურს მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთანო.**

ჩეხო-სლოვაკია

მზად არიან იცნონ საბჭოთა კავშირი.

პრაგა. 16 თებერვ. ოფიციალური „პრაგერ პრესსე“ იტყობინება, რომ ჩეხო-სლოვაკია პრინციპიალურად თანახმაა იცნოს საბჭოთა კავშირი, მაგრამ დრო, თუ როდის უნდა მოხდეს ცნობა, ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

იტალია

საბჭოთა კავშირის საელჩო.

რომი. 16 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იორდანსკიმ აცნობა იტალიის მთავრობას, რომ სავაჭრო დელეგაციის მაგიერ რომში იქნება საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა—საელჩო.

რუსეთის იმპერიის ქონება გადაეცემა საბჭოთა კავშირს.

რომი. 16 თებერვალი. შემდგარია კომისია საბჭოთა კავშირის და იტალიის წარმომადგენლებისაგან, რომელმაც უნდა გადასცეს საბჭოთა კავშირის რუსეთის ყოფილი იმპერიის ქონება, რომელიც იმყოფება იტალიის მთავრობის მფარველობის ქვეშ.

ვინაიდან თეთრგვარდიელები ცდილობდენ ყოფილ მეფის საელჩოში არსებულ ქონების გაყიდვას, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოთხოვნილებით, უკანასკნელი დაბეჭდილია. ქონება იმყოფებოდა ანტიკვარულ მაღაზიაში, სადაც თეთრგვარდიელებს სურდათ ამ ქონების გაყიდვა აუქციონით.

ბერინი რომში.

რომი. 16 თებ. რომში ჩავიდა ბერენსი, რომელიც დანიშნულია საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად საზღვაო შეიარაღების შემცირების კონფერენციაზე.

ნორვეგია

მილოცვა მუშათა ორგანიზაციებისაგან.

ქრისტიანია. 16 თებერ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ნორვეგიაში კოლონტაიმ, ნორვეგიის მთავრობის მიერ მისთვის ნოტის გადაცემის შემდეგ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის შესახებ, მიიღო მისალმებები მრავალრიცხოვან მუშათა ორგანიზაციებისა და საზოგადო მოღვაწეებისაგან.

ჰოლანდია

საბჭოთა მთავრობის ცნობის შესახებ.

ვენა. 16 თებერვალი. ჰოლანდიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა პარლამენტში, რომ ოფიციალური მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ არ დაწყებულა. მინისტრმა განაცხადა, რომ ის დაწვრილებით შეჩერდება ამ საკითხზე, გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს.

ამერიკა.

სენატორი ბორა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

ნიუ-იორკი. 16 თებერვალი. „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს სენატორმა ბორამ განაცხადა; „უნდა ველოდეთ, რომ იაპონია ახლო მომავალში დაიწყებს მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ“.

სენატორი ბორა უკმაყოფილებას გამოსთქვამს, რომ ამერიკა თავს იკავებს ცნობისაგან. ინგლისის, იტალიის, ავსტრიის და იაპონიის მიერ ნორმალური ურთიერთობის დაჭერას საბჭოთა კავშირთან, ბორას აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნება მთელ მსოფლიოს ეკონომიური ცხოვრების აღდგენისათვის.

მდგომარეობა ინგლისში

გემების საამშენებლო სახელოსნოების მუშების გაფიცვა.

ლონდონი. 16 თებ. მოლაპარაკებამ გემების საამშენებლო სახელოსნოების მუშებსა და მწარმოებლებს შორის არავითარი დადებითი შედეგი არ გამოიღო. **დღეს იწყება გაფიცვა. ბრძანება გაფიცვის შესახებ გაეგზავნა ყველა ორგანიზაციებს.**

გუშინ შესდგა მუშების მასიური მიტინგები, რომლებზედაც მუშების ლიდერები აცხადებდენ, რომ იბრძოლებენ ბოლომდის. ყველა ნავთსადგურების მუშები გამოდიან ერთსულოვნად.

საინტერესოა აღნიშნული იქნეს ნავთსადგურების მწარმოებელთა შემოსავალი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მწარმოებლების შემოსავალი შეადგენს 38 მილ. გირ. სტერლ., მუშების მოთხოვნილებები კი გამოიხატება მხოლოდ 2 მილ. გირ. სტერლ.

შეკითხვა თემთა პალატაში ლენინის გარდაცვალების გამო სამძიმრის გამოცხადების შესახებ.

ლონდონი. 16 თებერვალი **თემთა პალატაში დეპუტატმა კენვორტიმ შეიტანა შეკითხვა, გაეგზავნა თუ არა საბჭოთა მთავრობას სამძიმარი ლენინის გარდაცვალების გამო.**

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პონსონბიმ უპასუხა, რომ ინგლისის საქმეთა რწმუნებულს ხოჯსონს ნებადართული ჰქონდა უფლება სათანადო ნაბიჯები გადაედგა ამ მიმართულებით.

კაპიტალისტების ოცნება

თავისას არ იშლიან.

პარიზი. 16 თებერვალი. პოლ ბერტულიამ რუსეთის ფასიანი ქაღალდების პატრონების მრავალრიცხოვან კრებაზე ლიონში წაიკითხა მოხსენება, რომელშიაც განმარტა კერძო კაპიტალის როლი და მნიშვნელობა საბჭოთა რუსეთში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა მართლა ცდილობს შეთანხმებას საფრანგეთთან. საბჭოთა რუსეთი ჩქარა აღორძინდება, თუ იპოვნის სათანადო კაპიტალს.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ამტკიცებს რუსეთის ფასიანი ქაღალდების პატრონების უფლებების „შეურყევლობას“ და მოითხოვს, რომ მოუსმინონ საფრანგეთის კრედიტორების წარმომადგენლებს, თუ დაიწყება მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან. რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე ვალების ცნობას და იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მიაყენა რუსეთის რევოლიუციამ საფრანგეთის მოქალაქეებს.

პოლ ბერტულია—ჟურნალისტია, რომელიც ჩვეულებრივად ეწევა კამპანიას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ „ეკო დე-პარი“-ს ფურცლებზე.

გერმანიის ამბები

მარკის კურსის დაცემა გრძელდება.

ბერლინი. 16 თებერვალი. **თებერვლის პირველ მეხამედში გერმანიის შემოსავალი უდრიდა 79 მილ. ოქროს მარკას, გასავალი კი 113 მილ. მარკას.**

უცხოეთის ბირჟებზე გრძელდება მარკის კურსის დაცემა.

არავითარი შეთანხმება სოციალ-დემოკრატებთან.

ბერლინი. 16 თებერვალი. 18 თებერვალს კასელში მოწვეულია მელითონეების კონგრესი.

8 თვის წინად მომხდარ არჩევნების შედეგები ასეთია: მემარჯვენე სოციალ დემოკრატებმა გაიყვანეს 150 დელეგატი, კომუნისტებმა—145 და მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა—100.

მემარცხენე სოციალ დემოკრატებმა არა ერთხელ მისცეს წინადადება კომუნისტებს გამოსულიყვნენ არჩევნებში მათთან ერთად მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

„როტე ფანე“ ამის გამო სწერს, რომ **კომუნისტები წავლენ პირდაპირი გზით და წარუდგენენ კონგრესს თავიანთ პლატფორმას. კომუნისტები არ დაუშვებენ არავითარ შეთანხმებას სოციალ-დემოკრატებთან.**

სეპერატისტების გაქცევა.

ბერლინი. 18 თებერვალი. „მატენ“-ი იტყობინება, რომ 1.000 სეპერატისტი გაიქცა პფალციდან; მათ გადალახეს საფრანგეთის საზღვარი და თავი შეაფარეს ელზასში.

ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია

კონფერენციის გახსნა

ვარშავა. 16 თებერვალი. დღეს გაიხსნა ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია.

თავმჯდომარედ არჩეულია პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზამოისკი.

მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ესტონეთის მინისტრმა აკკელმა.

არჩეულია სამი კომისია: პოლიტიკური, იურიდიული და სამეურნეო.

რუსეთი და აღმოსავლეთი

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობა

მოსკოვი. 17 თებერვალი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობაში, ამხ. ლეჟავას თავმჯდომარეობით, შესდგა რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის მრავალრიცხოვანი კრება. კრებას დაესწრნენ სახალხო კომისარიატების და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები, აგრეთვე აღმოსავლეთის სახელმწიფოების დიპლომატიური და სავაჭრო წარმომადგენლები. პრეზიდიუმის საპატიო წევრებათ არჩეულნი არიან ამხ. ჩიჩერინი, კრასინი, ოსმალეთის, მონღოლეთის და ავღანისტანის ელჩები, ჩინეთის და სპარსეთის წარმომადგენლები, ბუხარის და ხორეზმის რესპუბლიკების სრულუფლებიანი წარმომადგენლები და ამიერკავკასიის ცაკის და დაღესტანის ცაკის წარმომადგენლები.

მისასალმებელ სიტყვაში ამხ. ჩიჩერინმა აღნიშნა: „**რუსეთ აღმოსავლეთის სავაჭრო პალატამ მოკლე დროის განმავლობაში დიდი როლი ითამაშა მეგობრულ დამოკიდებულებათა განვითარების საქმეში საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. წინეთ, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკა და აღმოსავლეთის სახელმწიფოები იბრძოდენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობისათვის საერთო მტრის—საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჩვენ მეგობრულ დამოკიდებულებათ აღმოსავლეთის ქვეყნებთან ჰქონდათ მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა.**

ეხლა ჩვენს წინაშე უფრო გრძელი ამოცანაა—ჩვენი საერთო მწარმოებელ ძალების განვითარება და ეკონომიურ დამოუკიდებლობის დაცვა. უკვე დღევანდელ დეპეშებში, რომლებშიაც მოყვანილია სიტყვები კერზონის და ბალდვინის, რომელნიც კრიტიკას უკეთებენ საბჭოთა კავშირის ცნობას წინასწარ გარანტიების გარეშე, სჩანს შიში საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გამტკიცების გამო ეს საშუალებას აძლევს მათ, კერზონის და ბალდვინის აზრით, ხელი შეუწყონ, როგორც ისინი ამბობენ, ქაოსს აღმოსავლეთის სახელმწიფოებში. ნამდვილათ კი ეს ნიშნავს იმას, რომ მათ ეშინიათ ეკონომიურ თანამშრომლობის საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთთან.

ჩვენ დაინტერესებული ვართ იმაში, რომ აღმოსავლეთი არ იყოს დამონებული საერთაშორისო კაპიტალის მიერ. აღმოსავლეთის ქვეყნებიც აგრეთვე დაინტერესებული არიან ჩვენს ეკონომიურ დამოუკიდებლობაში. ამასთანავე იქმნება რთული მდგომარეობა და ჩვენს წინაშე ისმება ახალი საკითხები, რომელნიც გადაწყვეტილნი უნდა იქნენ საერთო ძალებით. პალატა არის ის რგოლი, რომელნიც აერთებს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრების წარმომადგენლებს აღმოსავლეთთან ნაყოფიერ მუშაობისათვის ეკონომიურ სოლიდარობის განვითარების გზაზე საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის“.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სახელით ამხ. **ფრუმკინმა** აღნიშნა: „თუ დასავლეთის მიმართ, ჩვენი ეკონომიური დამოუკიდებლობის დაცვის დროს, ჩვენ იძულებული ვართ გავატაროთ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ ჩვენ არ გვაქვს ასეთი შიში და ამიტომ მათ მივანიჭეთ ჩვენ მთელი რიგი შეღავათები, რომელნიც შესამჩნევათ ხელს უწყობენ სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრმა ამხ. **ეიხმონტმა** აღნიშნა: „რუსეთის მრეწველობას შეუძლია მიაწოდოს აღმოსავლეთის ქვეყნებს აუცილებელი ფაბრიკატები და მისცეს მათ შეღავათიან პირობებში მოწყობილობა და მასალები მრეწველობის განვითარებისათვის აღმოსავლეთის ქვეყნებში. პალატის დიდი დამსახურება იმაშია, რომ მან გაუღვიძა ჩვენს ტრესტებს და სინდიკატებს ინტერესი აღმოსავლეთთან ვაჭრობისათვის“.

გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. **კოგან-ბერნშტეინმა** სთქვა: „აღმოსავლეთის პალატის შუამდგომლობის თანახმად, გზათა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა მთელი რიგი სატარიფო შეღავათები საქონლის ბრუნვის განვითარებისათვის საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის“.

ოსმალეთის ელჩმა **მუხტარ-ბეიმ** იმედი გამოსთქვა, რომ იმ ეკონომიურ ურთიერთობას, რომელიც ეხლა ყალიბდება რუსეთსა და ოსმალეთს შორის, შედეგათ მოყვება სავაჭრო ხელშეკრულების დადება.

სპარსეთის საქმეთა რწმუნებული **მუხაფარი** იმედს გამოსთქვამს, რომ ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა შეერთებული ღონისძიებები ნიადაგს მოუმზადებენ სავაჭრო ხელშეკრულების დადებას ორივე ქვეყნებს შორის.

ავღანისტანის ელჩი **გულამნაბი** ამბობს: „აღმოსავლეთის პალატის ღონისძიებების წყალობით, სპარსეთი შეუდგა უკვე საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ დაახლოვების პრაქტიკულათ გატარებას“. ის სურვილს გამოსთქვამს, რომ ჩქარა მოხდეს სავაჭრო ხელშეკრულების დადება.

ბუხარას, ხორეზმის, დაღესტანის და პალატის სხვა წარმომადგენლების მილოცვების შემდეგ, ამხ. ლეჟავა და გამგეობის თავმჯდომარე ამხ. პავლოვიჩი მოხსენებას აკეთებენ პალატის მუშაობის შესახებ.

რეზოლიუცია.

ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ხაზს უსვამს იმას, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სისტემაში აღმოსავლეთის ქვეყნები თანდათან დიდ როლს თამაშობენ, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი მრეწველობის მხრივ.

რეზოლიუცია აღნიშნავს აუცილებლობას გაძლიერებული იქნეს კონტაქტი აღმოსავლეთის პალატასა და საბჭოთა კავშირის სამეურნეო ორგანოებს შორის და აღნიშნავს, რომ პალატას დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან და დახმარებას უწევენ აღმოსავლეთის სახელმწიფოების საელჩოები და სრულუფლებიანი წარმომადგენლები.

სხვადასხვა

ბელგია,

რვა საათის სამუშაო დღე.

პარიზი. 16 თებერვ. ბელგიის პალატამ უარყო მთავრობის კანონპროექტი, რომელიც მიმართულია 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ.

შვეიცარია.

სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ.

ვენა. 16 თებერვალი. შვეიცარიის კომპარტია შვეიცარიის მუშებისადმი გამოქვეყნებულ მოწოდებაში აღნიშნავს, რომ 54 საათის სამუშაო კვირის შემოღება არის ერთი ნაბიჯი მუშათა უფლებების ფეხ-ქვეშ გათელვისაკენ.

სამუშაო დღის გადიდება ხელს შეუწყობს აგრეთვე უმუშევრობის ზრდას.

ოსმალეთი

კონსტიტუცია.

ანგორა. 16 თებერვალი. ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული ახალი კონსტიტუცია საარჩევნო უფლებას ანიჭებს მამაკაცებს, რომლებმაც მიაღწიეს 18 წლის ჰასაკს. ხალიფებს და ძველი დინასტიის წევრებს არ შეუძლიათ იყვნენ დეპუტატებათ. დეპუტატობა არ შეუძლიათ აგრეთვე ოსმალეთის იმ მოქალაქეებს, რომელნიც ითვლებიან უცხო მთავრობების სამსახურში და სასამართლოს მიერ ჩირქმოცხებულ პირებს.

დიდი ეროვნული კრება არჩეული იქნება 4 წლით; პრეზიდენტს ირჩევენ 7 წლით, კონსტიტუციის ძალით შესაძლებელია მისი ხელახალი არჩევა.

ნორვეგია

არც ერთი ჯარისკაცი, არც ერთი კაპეიკი კაპიტალისტურ საზოგადოების თავდაცვისათვის.

სტოკჰოლმი. 16 თებერვალი. შვეციის კომპარტიის ცეკა მანიფესტში, რომლის ლოზუნგია: „არც ერთი ჯარისკაცი, არც ერთი კაპეიკი კაპიტალისტურ საზოგადოების თავდაცვისათვის“, მოუწოდებს მუშათა ყველა ორგანიზაციებს მომავალი არჩევნების დროს გაილაშქრონ კაპიტალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

გერმანიის მეცნიერთა სასარგებლოდ

სამარა. 18 თებ. სამარას სამეცნიერო დარგის მუშაკებმა დაადგინეს ყოველთვიურად გადასდონ თავისი ჯამაგირის ნახ. პროც., გერმანიის მეცნიერთა დასახმარებლად ლექციების მოწყობისათვის.

მოწვევა საერთაშორისო გაერთიანებულ კოოპერატივის სხდომაზე.

მოსკოვი. 18 თებ. საკავშირო რესპუბლიკის კოოპერატიულმა ცენტრებმა, რომელიც კი საერთაშორისო გაერთიანებულ კოოპერატივის წევრებად ითვლებიან, მოწვევის ბარათები მიიღეს 21 მერტისათვის პრაგაში განზრახულ გაერთიანებულ კოოპერატივის ცენტრალურ კომიტეტის სხდომაზე დასასწრებლად.

გაფიცვა ქარხანაში.

გომელი. 18 თებ. ბორისოგლებსკის ქარხანაში, რომელიც კერძო მწარმოებელზეა იჯარით გაცემული, კვლავ გრძელდება იანვარში დაწყებული მუშათა გაფიცვა. პროფკავშირები დახმარებას უწევენ გაფიცულებს.

წითელი არმიის და ფლოტის 6 წლის თავი.

მოსკოვი. 17 თებ. რუსეთის ახკომკავშირის ცეკამ წინადადება მისცა ყველა თავის ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ წითელი არმიის და ფლოტის 6 წლის თავის დღესასწაულში—23 მარტს.

გლეხთა კონფერენცია.

ვიტებსკი. 18 თებ. მთელ გუბერნიაში იმართება გლეხთა ფართე კონფერენციები.

გლეხის სახლი

ლენინგრადი. 18 თებ. ლენინგრადში იხსნება გლეხის სახლი.

თოვლის ქარბუქი

ხარკოვი. 18 თებ. უკრაინის ყველა რკინისგზებზე მძვინვარებს თოვლის ქარბუქი. დონის ოლქშიაც დიდი ქარბუქია.

ლტოლვა კომპარტიისაკენ

მუშების ხმა.

ბახმუტი. 18 თებერვალი. **დუგანის ოლქში 2.500 მუშამ განცხადება შეიტანა რუსეთის კომპარტიაში შესვლის შესახებ; ბახმუტის ოლქში შეტანილია 3.500 განცხადება, ბახტანის ოლქში 1.500.**

გომელი. 18 თებერვალი გომელის რკინისგზის ხაზის 1.000 მუშამ განცხადება შეიტანა რ. კ. პ. შესვლის შესახებ.

მოსკოვი. 18 თებერვალი. რუსეთის კომპარტიის მოსკოვის ორგანიზაციის რაიონულ კომიტეტების და სამაზრო კომიტეტების მდივნების თათბირზე მომხსენებლები აღნიშნავდენ, რომ კომპარტიისაკენ ძლიერ ლტოლვას იჩენენ არა მარტო სამრეწველო მუშები, არამედ მოჯამაგირე გლეხებიც.

ახკომკავშირი.

მოსკოვი. 16 თებერვალი. 14 თებერვლამდე რუსეთის ახკომკავშირში შევიდა 1.845 კაცი.

მოსკოვი. 16 თებერვალი. გრძელდება განცხადებების შემოტანა რუსეთის კომპარტიაში შესვლის შესახებ: ნიჟნი ნოვგოროდში შეტანილია 7.000 განცხადება, ურალის ოლქში 1.470, ტამბოვის გუბერნიაში 1.220 ჟმერინკაში 450, ერევანკაში 500.

ახალი ძალები.

მოსკოვი. 16 თებერ. კამპანია მუშების პარტიაში ჩაბმის სასარგებლოთ ყველგან დიდის წარმატებით მიმდინარეობს. ყველა წარმოების მუშებს დიდის ხალისით შეაქვთ განცხადებები კომპარტიაში შესვლის შესახებ, ყველაზე მეტი განცხადებები პარტიაში შესვლის შესახებ შეიტანეს მელითონეებმა და ფეიქრებმა. მოსკოვში ჯერჯერობით შეტანილია 17,000 განცხადება, მაზრებში—8,000.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი.

ლენინის პარტიაში.

ბაქო. 17 თებერვალი. უკანასკნელი, თუმცა არა სრული, ცნობებით, ბაქოსა და მის რაიონებში დღემდე ჩაწერილა კომპარტიაში 4,677 კაცი. რაიონებად ასე ნაწილდებიან: ლენინის რაიონში (ყოფილი ბალახანა საბუნჩის)—1,353, ქარხანა-ზავოდების რაიონში—1,204, ბაილოვო-ბიბი-ეიბატის რაიონში—773, ქალაქის რაიონში—664, ვაგზლის გადაღმა რაიონში—246, სურახანის—220, ბინაგადინის—120. ყოველდღე გრძელდება განცხადებათა შემოტანა კომპარტიაში შემოსვლის მსურველებისა. მასებში დიდი სულიერი აღფრთოვანებაა და სწარმოებს პოლიტიკური თვითგამორკვევის პროცესი. კომპარტიაში ჩარიცხვის სურვილს აცხადებენ მუშების ცოლები და შვილებიც. ყველა კვალიფიციური მუშები ისწრაფიან კომპარტიისაკენ. ეჭვს გარეშეა, რომ ბაქოს კომპარტია შეისრუტავს მთელს შეგნებულსა და რევოლიუციონურს ელემენტს, რაც კი მოიპოვება ბაქოში და პირველ ნაბიჯს გადასდგავს ბაქოს კომუნის შესაქმნელად.

ვაგონი-სამკითხველო.

ბაქო 17 თებ. მოძრავ შემადგენლობის სამმართველომ დაამზადა ლენინის სახელობის ვაგონი-სამკითხველო, რომელიც თან გაჰყვება მუშათა მატარებლებს.

პარტიული ცხოვრება

„ახალგაზრდა ლენინელი“

ქართული ახალგაზრდული პრესა გასაბჭოების პირველ ხანებში მეტად მოიკოჭლებდა, ჩვენს მოზარდ თაობას არ ჰქონდა სერიოზული ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც მათთვის აუცილებელი იყო და ურომლისოდაც ძნელია მოზარდი თაობის აღზრდა; ბეჭდვითი სიტყვას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ მთელი მასის და განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

ახალგაზრდობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში იზრდება, უნდა დაიცვათ არაკომუნისტურ გავლენისაგან. ასეთი საფრთხე კი არსებობს მაშინ, როდესაც ჩვენ არა გვაქვს ახალგაზრდობის კომუნისტურათ აღმზრდელი პერიოდული გამოცემანი.

ამიტომაა სწორედ, რომ ახალგაზრდათა გამომცემლობას, ახალგაზრდობის ჟურნალ-გაზეთებს მაქსიმალური ყურადღება ექცევა საბჭოთა ხელისუფლების დროს. საბჭოთა კავშირის თითქმის ყოველ გუბერნიაშიც კი მოიპოვება დღეს ახალგაზრდა ლენინელთა თუ ყოველდღიური არაყოველკვირეული გაზეთი მაინც. საბჭოთა კავშირის სხვა მხარეებს არ ჩამორჩება საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირიც. ჟურნალი „მომავალი“ და გაზეთი „სპარტაკი“—ამის უტყუარი საბუთია. კერძოთ „მომავალმა“ მართლაც სახელოვანი ტრადიცია შექმნა ქართული სერიოზულ ახალგაზრდული ჟურნალისა და არა მარტო ახალგაზრდულის. საქართველოში არასოდეს ახალგაზრდათა არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას „მომავალი“-ს მსგავსი რამ არ გაჩნდა.

ეს აუცილებლად დიდი სასახელო საქმეა ჩვენი ახალგაზრდობისა. თებერვლიდან „მომავალი“-ს მაგიერ გამოდის იმავე შინაარსის ჟურნალი ახალი სახელწოდებით—„ახალგაზრდა ლენინელი“.

ჩვენი დაუფასებელი მასწავლებლის სახელწოდება ხსენებულ ჟურნალს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს, მეტ შინაარსს და სერიოზულობას მოითხოვს.

„ახალგაზრდა ლენინელი“—ცხოველმყოფელ ლენინიზმის მთესველი უნდა შეიქმნეს საქართველოს მთელ პროლეტარულ ახალგაზრდობაში. „ახალგაზრდა ლენინელი“ უნ ადიქურვოს ყველა იმ დადებ [illegible] მხარეებით, [illegible] ამხ. ლენინის [illegible] ჟურნალ-გაზეთებს, არის [illegible] თვის ერთგული და მტკიცე სამსა რი, რევოლიუციონური მარქსიზ ჩანერგვა მუშურ-გლეხურ ახალგაზ დობის ფართე მასებში, მარქსისტ ლი დაუმახინჯებელი ფილოსოფი ქადაგება, რათა მეცნიერულად და წმუნდეს ახალგაზრდობა სოციალი მის ისტორიულ აუცილებლობაშ დაუზოგველი ბრძოლა ყოველგ სახის შეთანხმებლობასთან, ს ლოლიკა, მოვლენების ლენინისტუ ანალიზი და სხვა მრავალი, აი ლ ნინის ჟურნალ-გაზეთების დამახას თებელი თვისებები, რომლითაც უ და ადიქურვოს „ახალგაზრდა ლე ლელი“-ც.

უსურვოთ მოზარდი ლენინისტუ თაობის ლამპარს „ახალგაზრდა ლ ნინელს“ არ ასცდენოდეს ამ გზ და გაენათებინოს საქართველოს ყოვ ლი ახალგაზრდა ლენინელის, ყ ველი ახალგაზრდა მუშის და გლ ხის გონება.

გ—ა.

ხაშურის დეპოს კომუჯრედის შეფობა

სოფ. ზეკოტა ქ. სურამიდან სამ ვერსამდე არის დაშორებული. ამ სოფლის გლეხობა ძალზე გალატაკებული არის; მათი ერთად ერთი შემოსავლის წყარო ეს ხე-ტყის მუშაობაა, ტყის ხალხი „ანუ“ მთის ხალხის ვართო, ამბობენ ისინი თავის თავზე, მაგრამ დღეს შეშიდან აღებული ფულით თავის რჩენასაც ველარ ახერხებენ.

სწორეთ ამ ერთი თვის წინად ხაშურის დეპოს კომუჯრედმა თავის სხდომაზე დაადგინა შეფობის მიღება ხსენებულ სოფელ ზეკოტაზე. გამოყო საშეფო კომისია, რომელსაც მიანდო ადგილობრივ გამოერკვია საშეფო სოფლის გლეხობის მდგომარეობა და გამოემუშავებია წესი, თუ როგორ და საიდან ეშოვათ გლეხობისათვის დასახმარებლათ თანხა, 10 თებერვალს კომუჯრედი სამხედრო ორკესტრით გაეშურა შეფობის მისალებათ. მთელი დღე თოვდა, მაგრამ კომუჯრედის წევრები არ შეუშინდენ ცუდ ამინდს, საჩუქრად წაიღეს ოჯახზედ ნახევარი ფუთი ნავთი, ათ-ათი გირვანქა მარილი, საბჭოს წევრს ერთი წყვილი ბატინკები, ჩულქები, ბლუზა და შარვალი, მხოლოთ ორ გაჭირვებულ ოჯახს თითო საჟენი შეშის ნებართვა უფასოთ, თითო ფუთი ნავთი და ოც-ოცი გირვანქა მარილი. სურამში გზაზედ შეგვხვდენ დროშებით სურამის კომკავშირის ახალგაზრდობა და 12 საათზე უკვე მივედით სოფელში. ძლ თოვს, მაგრამ მთელი სოფელი შ რიბა დანიშნულ ადგილზედ, სად უნდა გახსნილიყო მიტინგი; ი ახლო იდგა ორი ურემი დატვირ ლი ერთი მარილით, მეორე ნავთ

მიტინგი გახსნა საშეფო კომის წევრმა ამხ. იასონ მამაცაშვილ რაიკომის სახელით ილაპარაკა ა ალ. ქებაძემ, რომელმაც აუხსნა ტინგს მუშების და გლეხების კავ რის მნიშვნელობა; აი, ამხანაგებ მიუთითებს ის ორ გლეხს: მცირე წვლილი თქვენთან მო ნილი მუშების მიერ ამტკიც რომ მუშების გული და სული თქ თან არის, ისინი სცდილობენ თ მცირე ჯამაგირიდან მოგაწოდ თქვენ დახმარება. მიტინგი მქუხ ტაშით ხვდება ორატორის სიტყვე ილაპარაკეს აგრეთვე სხვა ამხანაგ მაც. რითაც გლეხები დიდათ კმაყოფ ლი დარჩენ. გლეხების მღიმარე სახე დან სჩანდა, რომ ისინი მადლიე არიან თავის შეფის, ხაშურის დე კომუჯრედის, რომელიც მომავალშ შეეცდება ამ სოფლის კულტურუ ეკონომიურ აღორძინებას.

იმედს გამოვსთქვამთ, რომ ჩვე მაგალითის სხვა დარგის მუშებიც მიბაძვენ და შეასრულებენ თავის ლადის ანდერძს გლეხობასთან კ შირის შესახებ.

ახპინძელი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.

(19 თებერვალი)

	მილ.
ჩერვონცები — —	2.880 მილ.
ინგ. სტერლინგ. ეფექტ.	2.632 „
„ ჩეკები	2520 „
დოლარი ეფექ. —	623 „
„ ჩეკები —	570 „
ოსმ. ქაღ. ლირა —	377 „
იტალიური ლირა —	26 „
ფრანგული ფრანკი —	27 „
საბჭ. ფულის ნიშნები —	17,5 „

მოსკოვის ფასები.

(18 თებერვალი)

პური 1 ხარ. 17,000, პური 2 ხ. 12000, ძროხის ხორცი—65000 ათ. ღორის ხორცი—55000 ათ. შაქარი რაფინადი 110.700 ათ. ფხვნილი შაქარი—78,300 ათასი, კარტოფილი—5500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(18 თებერვალი)

პური 1 ხ.—25000 ათ., პური 2 ხარ.—18000, ძროხის ხორცი 70000 ათ. ღორის ხორცი 70000 ათ., შაქარი რაფინ. 130000 ათ., შაქარი ფხვნილი 85,000 ათ., კარტოფილი 10.000 ათ.

ბირჟის მიწოდება

„ცენტროსოიუზ“-ის ჩაი, სახურავი რკინა, „ურალმეტ“-ის პროდუქცია (სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რკინის გასაყრელები, რელსები და სხვ.), ნედლი აბრეშუმი, სპილენძი, როსტოვის პაპიროსები, საშენებელი ლურსმნები, ტყავის ღვედები, „საბაროტრესტ“-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, კვებრახის ექსტრაქტი, შვეიცარიული ყველი, ასანთი რუსული, ფანჯრის მინა, ქიმიური ნაწარმოები, კაუსტიკური სოდა, შაბიამანი, სახ. მეურნ. საბჭ. საპნის და საჟიჟრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, ქვა-მარილი ნახიჩ., სალომასი, ყავა, ნიშადური ტომრები, თხილი, ხორბალი და პურეული.

ბირჟის მოთხოვნილება.

ტყავეულობა ნედლი, რუსული მანუფაქტურა, შაქარი რაფ. და ფხვნილი „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდიის ცემენტი, სალომასი, ასანთი რუს., ქვამარილი ნახიჩევანის, რკინეულობა.

ოფიციალური გარიგებანი.

სალომასი კრასნოდარის—8 მ. 75 კ. ფ., ფრანკო კრასნოდარი—ვაგონი. **შაქრის ფხვნილი რუს.**—10 მ. 65 კ. ფ. ტყავის ტანსაცმელები 42 მ. კომპლექტი — ფრანკო მყიდველის საწყობი ტფილისში.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ჩერვონცების და ამიერ კავკასიის ბონების შეფა დება

(19 თებერვალი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონი
1 კ.	2.830.000	60 კ.	169 800.0
2 „	5.660.000	70 „	198.100.0
3 „	8.490.000	80 „	226 400.0
4 „	11.320.000	90 „	254.700.0
5 „	14.150.000	1 მ.	283 000.0
6 „	16.980.000	2 „	566.000.0
7 „	19.819.000	3 „	849.000.0
8 „	22,640.000	4 „	1.132.000.0
9 „	25.470.000	5 „	1.415.000.0
10 „	28.300.000	6 „	1.698.000.0
20 „	56.600.000	7 „	1.981.000.0
30 „	84.900.000	8 „	2.264.000.0
40 „	113.200.000	9 „	2.547.000.0
50 „	141.500.000	1 ჩერ.	2.830.000.0

ს. ს. რ. კავშირის საგარე ვაჭრობის რწმუნებულ სამმართველოში.

ნოხებით საექსპორტო ოპერაციებ

ვინაიდან ნოხების (ხალიჩების) ექ პორტი აკრძალულია კერძო პირთ თვის, ა. კ. სავაჭრო სამმართველო წინადადება მიეცა განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციოს ამგვარ ოპ რაციებს და ორი კვირის განმავლო ბაში წარუდგინოს რწმუნებულის კ ლეგიას განზრახულ ოპერაციებ გეგმა.

ა. კ. სავაჭრო სამმართველოს 192 წლის საიმპორტ-ექსპორტო გეგმის გადასინჯვა.

რწმუნებულის სამმართველოს მი ცა წინადადება ა. კ. სავაჭრო სა მართველოს, რათა გადასინჯოს 192 წლის საოპერაციო (საიმპორტ-ექ პორტო) გეგმა, ვინაიდან შეცვლილ საერთო ამიერ-კავკასიის ოპერატი ლი გეგმა.

საბჭ. სოც. რესპ. კავში რის საგარეო ვაჭრობ რწმუნებულის სამმართვე ლოში.

შერეული საზოგადოება „ზაკ პერს“-ი.

ვინაიდან უკვე გადაწყვეტილია შ რეული საზოგადოების „ზაკპერს“-ი ორგანიზაცია,—ამხ. გუჯინსკის მიენ დო აცნობოს ბაქოში სპარსელ ვაჭ რებს ამის შესახებ და მისცეს მა წინადადება გამოგზავნონ ტფილისშ თავისი წარმომადგენლები ხელშეკ რულების მოსაწერად.

აბრეშუმის თესლის (გრენის) და ზადების გეგმა 1924—25 წლისთვის

რწმუნებულის სამმართველოს კო ლეგიამ მიიღო ამხ. ივანიანის მიერ წარმოდგენილი გეგმის პროექტი—გრ ნის დამზადების შესახებ 1924—2 წლისთვის. დაინტერესებულ დაწეს ბულებებს წინადადება მიეცემათ— გამოსთქვან თავისი აზრი ამ პროექ ტის შესახებ.

პროფ. პ. გ. მელიქიშვილის 50 წლის იუბილე

კვირას, 17 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა იდღესასწაულა დამსახურებულ პროფესორის პ. გ. მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის თავი.

უნივერსიტეტის ქიმიის აუდიტორია სრულიად გაჭედილია სტუდენტებით და მოწვეული სტუმრებით. უადგილობის გამო მრავალს მოქალაქეს უკანვე უხდება გაბრუნება.

რექტორ პროფ. ჯავახიშვილის მისალმება.

დილის 11 საათზე უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი პროფესორთა საბჭოს საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს და პროფესორთა საბჭოს სახელით იუბილიარის შესახებ სიტყვას ამბობს. პატივცემული რექტორის სიტყვით პროფ. მელიქიშვილის ღვაწლი, როგორც მეცნიერის, საყოველთაოდ ცნობილია და დაფასებული. მასზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, როგორც დიდ მკვლევარზე და სწავლულზე. ჩვენთვის—ქართველებისათვის დამსახურებული პროფესორი მელიქიშვილი მით უფრო პატივსაცემი და სასიყვარულოა, რომ მან შექმნა და განამტკიცა საქართველოს უმაღლესი სასწავლებელი. ბევრს ქართული უნივერსიტეტის არსებობა ქართველი ერის თითქოს კულტურული ჩამორჩენილობის და მოუმზადებლობის გამო ვერ წარმოედგინა, მიაჩნდა იგი განუხორციელებელ ოცნებად. როცა ქართველი ერის დიდი ხნის ნატვრას ხორცი შეესხა და ქართული უნივერსიტეტი ფაქტი გახდა, მაშინაც მისი არსებობა სადაოდ მიაჩნდათ. უნივერსიტეტი ამ დროს აუცილებლად საჭიროებდა მზრუნველს, სათუთ ხელს. პროფ. მელიქიშვილი სწორედ ასეთ მზრუნველად მოევლინა მას და თავისი დიდი მეცნიერული ავტორიტეტით ყველას თვალში ასწია საქართველოს უნივერსიტეტის სახელი და ღირსება. მან ჩაუდგა მტკიცე საძირკველი უნივერსიტეტს და მისი მომავალი განვითარება სამერმისოდ უზრუნველჰყო.

ფაკულტეტების წარმომადგენელთა მისალმება.

პატივცემულ რექტორის შემდეგ იუბილიარს ესალმებიან სხვადასხვა ფაკულტეტების წარმომადგენელნი: პროფ. კეკელიძე, პროფ. ნუცუბიძე, პროფ. უზნაძე და სხვა ორატორები მელიქიშვილის იშვიათ სამეცნიერო მოღვაწეობას სთვლიან ქართველი ინტელიგენტის გამარჯვებად. თავისი ორიგინალური ნიჭით, შემოქმედებითი და კვლევა-ძიებითი უნარით მან დაამტკიცა, რომ ქართველი ერი დიდი პოტენციალური შემოქმედებითი ენერგიის მატარებელია მეცნიერების სფეროშიაც. დაუღალავი შრომით და მხნეობით მან მოიპოვა უკვდავება, ასახელა თავისი თავიც და თავისი ერიც".

გან. სახ. კომ. მისალმება.

მთავრობის სახელით დამსახურებულს პროფესორს ულოცავს გან. სახ. კომ. ამხ. კანდელაკი, რომელიც აღნიშნავს რა მის უდიდეს ღვაწლს მეცნიერებაში, მადლობის ნიშნად, აღუთქვამს უნივერსიტეტში მის სახელობაზე ხ სტიპენდიის დაარსებას, მისი მეცნიერული ნაწარმოების ქართული სახელმწიფო ხარჯზე გამოცემას, მელიქიშვილისეული სახლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის გადაცემას იუბილარის სახელობაზე და ტფილისის ერთ-ერთ ქუჩისათვის მისი სახელის დარქმევას. ამხ. კანდელაკის განცხადებას საზოგადოება მხურვალე ტაშისცემით ეგებება.

სხვადასხვა ორგანიზაციების მისალმებანი.

ამხ. კანდელაკს შემდეგ იუბილიარს ესალმება დაახლოვებით 50 ორგანიზაციის წარმომადგენელი მრავალ სამეცნიერო საზოგადოებისაგან იუბილიარი არჩეულია მუდმივ საპატიო თავმჯდომარედ და წევრად. რამოდენიმე ორგანიზაცია დამსახურებულ პროფესორის სახელობაზე აწესებს სტიპენდიებს საბუნებისმეტყველო და აგრონომიულ დარგზე. იუბილიარს უძღვნიან აგრეთვე საჩუქრად წიგნებს და სამეცნიერო დანიშნულების ნივთებს. იუბილიარს მიულოცეს შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა: მიწად. მოქ. სახ. კომის. პოლიტეხნიკ. ინსტიტუტის, საქ. ფიზიკ. ობსერვატორიის, ბოტანიკური ბაღის, ქართულ აკადემიური დრამის, სახ. გან. კომ. არსებული სამეცნიერო საბჭოს. ქართველ ბუნებისმეტყველთა და გეოგრაფიის საზოგადოებანი. მუშფაკის, წ. კ. გამ. საზ. ტფილისის გერმანელთა საზოგადოების, ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა საბჭოს, საქ. ტეხნიკური საზოგადოების, განათლების კავშირთა მესამე ყრილობის, არქეოლოგიური ინსტიტუტის და მრავალი სხვა ორგანიზაციის, სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელნი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პროფ. მელიქიშვილი არ იყო დაინტერესებული მარტო განყენებული მეცნიერული კვლევა-ძიებით, იგი ყოველთვის დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ჩვენი მეურნეობის და მრეწველობის გაუმჯობესების საკითხს.

იუბილარის სამადლობელი სიტყვა.

თავის სიტყვაში დამსახურებული მეცნიერი გულწრფელ მადლობას სწირავს ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელს მისი ღვაწლის დაფასებისთვის. მე,—ამბობს მცხოვანი პროფესორი,—ჩემი მცირე მეცნიერულ მუშაობისათვის ამ იუბილემდე მივიღე ჯილდო. ჯილდოდ მე ვთვლი იმ განუსაზღვრელ სიამოვნებას, რომელსაც მე მაგრძნობინებდა ხანგრძლივი დაკვირვებით და შრომით მიღწეული ესა თუ ის აღმოჩენა. ამ დაჯილდოვებას ვერ შეედრება ვერავითარი სხვა ჯილდო. მეორე ჯილდო ჩემი ის არის, რომ მე არ დავრჩი უმემკვიდრეოდ და ჩემს საქმეს აგრძელებენ ჩემივე ნამოწაფარი მეცნიერები, რომელნიც დღეს სახელგანთქმულნი მკვლევარნი არიან. მესამე ჯილდო ჩემი ის არის, რომ საშუალება მეძლევა ჩემს სამშობლო ქვეყანაში ვაწარმოო სამეცნიერო მუშაობა და უხელმძღვანელო ქართველ ახალგაზრდობას, რომელნიც იმედი მაქვს თავისი შრომით და დაუზარელი მუყაითობით ჩემზე მეტად ასახელებენ თავის მშრომელ ერს.

დამსახურებულ იუბილიარს სიტყვის დასასრულ უმართავენ ხანგრძლივ ოვაციებს.

ზეიმი შუადღის სამ საათზე დასრულდა.

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მუშაკთა სამომხმარებლო საზოგადოება (ზაკტპო)

ამით აუწყებს ყველას, რომ 1923 წლის განმავლობაში რკინისგზელთა სასურსათო კომიტეტსა, ტფილისის საუბნო მომხმარებელთა საზოგადოებასა და აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა სამომხმარებლო საზოგადოებაში სამსახურის შესახებ მოწმობების გაცემა იწარმოებს 1924 წლის 1 მარტამდე, ამიერ-კავკასიის სატრ. სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობაში.

ამ ვადის შემდეგ კი, ზემოხსენებული მოწმობების მისაღებად აღარავითარი განცხადება არ მიიღება და აღარც რაიმე სხვა ცნობები გაიცემა სამსახურის შესახებ, რადგანაც საქმეები გადაიცემა არქივში.

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მუშაკთა სამომხმარებლო საზოგადოების **გამგეობა.**

პროფკავშირებში

პროფკავშირების მორიგი ამოცანები

ამხ. ტომსკის მოხსენება

16 თებერვალს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს გენერალურმა მდივანმა ამხ. ტომსკიმ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გამგეობის გაფართოვებულ პლენუმზე გააკეთა მოხსენება პროფკავშირების მორიგი ამოცანების შესახებ.

პროფესიული მოძრაობა მთლიანია.

თავისებურობა, სთქვა ამხ. ტომსკიმ, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ პროფესიულ ცხოვრებაში, მდგომარეობს იმაში, რომ არავითარ უთანხმოებას პროფმუშაკებს შორის ადგილი არა აქვს. პარტიული დისკუსიაც პროფკავშირებისათვის მშვიდობიანათ ჩატარდა და პროფკავშირების თითქმის ყველ მუშაკები ც. კ. ბანაკში აღმოჩნდა.

ჩვენი მუშაობის ნაკლი.

დემოკრატიის საკითხი ყოველთვის სასიცოცხლო საკითხს შეადგენდა პროფკავშირებისათვის. დემოკრატიაზე ყველა ლაპარაკობს, მაგრამ დემოკრატია ტარდება არა სიტყვებით და დეკლარაციებით, არამედ მთელ რიგ ღონისძიებების გატარებით ცხოვრებაში.

პირველყოვლისა ცხოვრებაში უნდა გატარდეს მეხუთე ყრილობის ლოზუნგი: „ახლო მასებთან". მაგრამ ამისათვის საჭიროა არა მარტო პროპაგანდა, არამედ ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხების სწორად დაყენებაც.

წინათ, მაგალითად, ჩვენი ფინანსიური ორგანიზაცია ზევიდან ეწყობოდა. ამიტომ კონტროლიც ზევიდან ხდებოდა. თუ ფინანსიურ ორგანიზაციას ქვევიდან მოვაწყობთ, თუ თვითონ მუშები გაიღებენ თანხებს კავშირისათვის, მაშინ ანგარიშიც მუშებს უნდა წარედგინოს.

გარდა ამისა ანგარიშიანობა ისე უნდა მოეწყოს, რომ მუშებისათვის გასაგები იყოს. მუშები იმიტომ არ იხდიან საწევრო გადასახადს თავის დროზე და ხალისით, რომ არ იციან როგორ და რაში იხარჯება მათი ფულები. ბუხჰალტერია პროფკავშირებში გასაგები უნდა გახდეს მუშებისათვის. მაშინ მუშაც ხალისით გადაიხდის საწევრო გადასახადს.

მეორე დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი პროპაგანდა, ხშირად გაუგებარია მუშებისათვის. ყველანი სწერენ თეზისებს, მაგრამ მუშებს არ ესმით ეს. თეზისები თუ წიგნაკები პროფესიულ მოძრაობაზე უნდა იწერებოდეს მუშებისთვის გასაგები ენით. რასაკვირველია, მასები უნდა აღვზარდოთ, მაგრამ ამისათვის საჭიროა შესაფერი ღონისძიებები.

ბევრი ვინც პროფკავშირების მოძრაობაზე თუ ცხოვრებაზე სწერს, აღზრდილია ბურჟუაზიული ნიმუშებზე და ამიტომ მძიმე, მუშისათვის ძნელად გასაგები ენით სწერს.

საჭიროა ქალებს შორის მუშაობის გაძლიერება.

ყველანი ლაპარაკობენ და ეთანხმებიან ერთმანეთს, რომ საჭიროა მუშაობა ქალებს შორის, მაგრამ საქმით კი ეს არ კეთდება. არის კავშირები, რომლებიც უმრავლესობას ქალები შეადგენენ, მაგრამ ქალები გამგეობაში უმცირესობაა. ლაპარაკობენ ქალების თანასწორ უფლებიანობაზე, ცხოვრებაში კი ეს არ ტარდება.

საჭიროა არა სიტყვით, არამედ საქმით შევქმნათ ქალისათვის პირობები, რათა მან უფრო მეტი მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ ცხოვრებაში.

საჭიროა, რომ ეს აზრი შეიგნოს ყველა მამაკაცმა. ამ მნიშვნელობით, იმისათვის, რომ ქალი უფრო მეტად ჩაებას პროფესიულ მოძრაობაში, საჭიროა მუშაობის წარმოება არა ქალებს შორის, არამედ მამაკაცებს შორის.

ნაციონალური საკითხი პროფკავშირებში.

ასეთივე მდგომარეობაშია ნაციონალური საკითხიც. პრინციპიალურად ამ საკითხში არავითარი უთანხმოება არის. პრაქტიკულად კი საქმე ასე ბრწყინვალედ არ იჭრება.

ამხ. ტომსკის მოყავს მაგალითები თურქესტანში მიღებულ შთაბეჭდილებებიდან.

ლაპარაკს ბოლო უნდა მოეღოს. უნდა გადავიდეთ საქმეზე. უნდა შევქმნათ პროფესიული მუშაკების კადრი ადგილობრივი ელემენტებიდან.

კულტ-მუშაობა უნდა მოვაწესრიგოთ.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის დარგში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ აქაც ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი. ავიღოთ მაგალითად სპორტის საკითხი. დღემდი არ არის შესწავლილი თუ როგორი სპორტი არის საჭირო ამა თუ იმ კავშირისათვის. სპორტმა უნდა ითამაშოს, არა მარტო შემაკავშირებელი, არამედ მშრომელი მასების გამაჯანსაღებელი როლი.

შრომის ხელფასის საკითხი.

ამჟამად შრომის ხელფასის საკითხი—საქონლისა თუ ჩერვონეცის მანეთი,—უბრალოდ სწყდება: შემოღებული იქნება ხაზინის ნიშნები, რომლებიც შეფარდებული იქნება ჩერვონეცის მანეთთან. კავშირების წევრების უმრავლესობა ჩერვონცების ანგარიშით იღებს შრომის ხელფასს და როგორც სჩანს რაც ადრე გადავალთ ჩერვონცით ანგარიშზე, მით უფრო უკეთესია. რასაკვირველია, შესწორება კოლექტიური ხელშეკრულებების გადასინჯვის შესახებ პერიოდულათ, რათა რეალური შრომის ხელფასი არ შემცირდეს, ძალაში უნდა დარჩეს.

კოლექტიური ხელშეკრულებები გასინჯული და გამარტივებული უნდა იქნას იმ მხრივ, რომ ისინი ტარდებოდეს ორივე მხარის მიერ. ასეთი ყურადღება და შეგნებული დამოკიდებულება კოლექტიურ ხელშეკრულებებისადმი განსაკუთრებით საჭიროა ახლა, ვინაიდან შესაძლებელია ასეთი ხელშეკრულების დადება მომავალ კონცესიონერებთან.

პროფკავშირები და კოოპერაცია.

ამხ. ტომსკი მიუთითებს კოოპერაციის მუშაობის ნაკლზე და აღნიშნავს, რომ საჭიროა უფრო საქმიანი ურთიერთობის დამყარება პროფკავშირებსა და კოოპერაციას შორისო.

ლენინის გზით.

შემდეგ ამხ. ტომსკიმ მოიყვანა ამხ. ლენინის თეზისები პროფმოძრაობის შესახებ და აღნიშნა, რომ პროფკავშირებმა თავის მუშაობის დროს უნდა იარონ იმ გზით, რომელიც ლენინმა დაუსახა პროფმოძრაობასო.

საქართველოს განათლების მუშაკთა მესამე ყრილობა

მესამე დღეს

(საღამოს სხდომა)

კამათი.

საღამოს სხდომა სავსებით შეეხებოდა ცენტ. გამგეობის მოქმედების შესახებ გამართულ კამათს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. აბულაძემ, ათაბეგოვმა, ძიძაძემ, მამალაძემ, დონდუამ, სარაძემ და გიორგობიანმა.

ოპონენტები უმთავრესად ეხებოდენ მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობას და აკრიტიკებდენ სატარიფო ეკონომიური განყოფილების მუშაობას.

ამხ. სარაძე აღნიშნავს, რომ გასულ წელს მიღებულმა ღონისძიებამ მაინც და მაინც ვერ გააუმჯობესა მასწავლებლობის მდგომარეობა.

სრულიად არ არის მართალი, თითქოს ჩერვონეცზე გადასვლამ გაადიდა ხელფასის რეალური ღირებულება. ხელფასის სიმცირეს ზედ ერთვის ის გარემოება, რომ მასწავლებლობისთვის არ არსებობს საშუალება დაიცვან ჯამაგირში აღებული თანხა ფასის სრული დაკარგვისგან, რადგან შრომის შემნახველი კასები მასწავლებლობისთვის მისაწვდომი არ არის,—იმ მიზეზის გამო, რომ კასები მუშაობას აწარმოებენ მაშინ, როცა მასწავლებელიც მოუცლელია.

დასასრულ სარაძე, მოჰყავს რა ამხ. ლენინის ციტატა მასწავლებლის მნიშვნელობის შესახებ, მოითხოვს, რომ საბჭოთა ქვეყნის კულტურის და საერთოდ კეთილდღეობის შემქნელი მასწავლებლობა ხელფასის მხრივ გათანასწორებულ იქნენ მელითონეებთან, მბეჭდავებთან და გემოკვების მუშაკებთან.

ამხ. გიორგობიანი ადარებს მასწავლებლობის ხელფასს სხვა და სხვა კავშირის მუშაკთა ხელფასს და ცხადჰყოფს, თუ რამოდენად ჩამოქვეითებულია მასწავლებლობა—ჯამაგირით უზრუნველყოფის მხრივ. ამხ. გიორგობიანის აზრით მასწავლებლობა დაჩაგრულია არა მარტო მატერიალურად, არამედ მორალურადაც, რადგან მისი შრომა შედარებით ფიზიკურ მუშაობასთან, სრულიად არ ფასდება.

ამხ. მამალაძე აყენებს საკითხს ტეხნიკურ პერსონალის შესახებ, რომლის შენახვა ეკისრება ადგილობრივ აღმასკომს.

გარდა იმისა, რომ ტეხნიკური მოსამსახურენი ვერასოდეს თავის დროზე ვერ ღებულობენ ჯამაგირს, მათი მდგომარეობა უარესდება იმ გარემოებითაც, რომ ისინი დაზღვეულნი არ არიან, და რჩებიან ყოვლად უპატრონოდ და ზრუნვას მოკლებული ავადმყოფობის და სხვა უბედური შემთხვევის დროს.

ამხ. ძიძაძე, სხვა კითხვათა შორის, აყენებს კითხვას პენსიონერთა და შრომის უნარ დაკარგულ განათლების მუშაკთა შესახებ. ეს უკანასკნელი საკითხი დღემდე მოუწესრიგებელია და აუცილებლად საჭიროებს მალე და სწრაფ გადაჭრას.

ამხ. გოგუაძე: მასწავლებლის წინაშე წამოყენებული დიდი პრობლემა ღირსია იმისა, რომ მასწავლებელი მთელი თავის არსებით და შესაძლებლობით ემსახურებოდეს ამ პრობლემის გადაწყვეტას. მაგრამ ეს მთლიანად ასე არ არის და ამის მიზეზი მასწავლებლის გარეშე უნდა ვეძიოთ: ფიზიკურ და სულიერ საზრდოს მოკლებული მასწავლებელი, ბუნებრივია, ვერ შესძლებს თავის მოვალეობის ღირსეულად შესრულებას. მასწავლებელთა კრებაზე უმთავრესად სოციალურ-პედაგოგიური საკითხების გარშემო უნდა იყოს სჯა-ბაასი. სინამდვილეში კი ყოველგან და ყოველთვის, ყველა ყრილობაზე, სიმშილზეა გოდება. ამას ბოლო უნდა მოეღოს, ყრილობამ უნდა აღიაროს მთავრობისა და ყველა იმათ საყურადღებოდ, ვინც დაინტერესებულია მასწავლებლის ნაყოფიერ მუშაობაში, რომ მასწავლებლობა ნივთიერად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის შესაძლებლობის ფარგლებში, და ერთხელ და სამუდამოდ უნდა ალიკვეთოს ხელფასის მიწოდების თვეობით გაჭიანურება.

ჩვენი კავშირის ც. გ. მოღვაწეობა სრული და ნაყოფიერია, მაგრამ ჩვენ უფრო მეტი გვესაჭიროება. ახალმა ც. გ. უნდა შესძლოს: 1) მასზე დამოკიდებული ენერგიული ზომების მიღება განათლების დარგში მომუშავეთა ნივთიერი მდგომარეობის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად, 2) კავშირში იდეურ-კულტურულ მუშაობის გაცხოველება საქართველოს ტერიტორიის განათლების მუშაკთა სახლების ქსელით მოფენით, სახლებთან წიგნთსაცავის მოწყობით, მოძრავი სამკითხველოების გაშვებით, მოძრავ ლექტორების და მომხსენებლების ბიუროს დაარსებით და სხვა 3) კავშირის ორგანოს ჟურნალის ღირსების ამაღლება და ჩვენი პედაგოგიური აზროვნების გამომსახველად გადაქცევა.

დასასრულ მოკამათეებს პასუხი გასცეს მომხსენებლებმა ამხ. ამხ. მეძმარიაშვილმა, შავერდოვისამ და გეგენავამ, რომელნიც აღნიშნავენ, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ცენტრალური გამგეობა ცდილობდა აემაღლებია მასწავლებლობა, როგორც ორგანიზაციულად, ისე ეკონომიურად და კულტურულად.

ამხ. გეგენავა სთვლის რა სამართლიანად მასწავლებლობის საყვედურს მათი ეკონომიური მდგომარეობის ჩამოქვეითების შესახებ, ამბობს, რომ ვერც ერთმა,—ცენ. გამ. საწინააღმდეგოთ გამოსულმა ამხანაგმა მასწავლებლობის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ვერ მიგვითითა ისეთ კონკრეტიულ ზომაზე, რომელიც ჩვენ არ მიგვეღოს. ეს გარემოება მოწმობს, რომ ცენტ. კომიტეტმა გააკეთა ყველაფერი შესაძლებლობის ფარგლებში.

ამით დასრულდა მესამე დღის საღამოს სხდომა.

მეექვსე სხდომა.

განათლების სახ. კომისარიატის მოხსენება.

(მომხსენებელი ამხ. კანდელაკი).

გეგმიან მუშაობაზე გადასვლა

მიმდინარე წელში კომისარიატმა შესძლო საორგანიზაციო სტრუქტურის საბოლოო მოგვარება და გეგმიან მუშაობაზე გადასვლა. გეგმიან მუშაობის განხორციელებას ხელი შეუწყო მტკიცე ბიუჯეტის დაწესებამ და აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ კომისარიატის მუშაობას ხელმძღვანელი სახელმწიფო და პარტიული ორგანოები დიდი ყურადღებით ეპყროდნენ.

განათლების საქმის ნაციონალიზაცია.

გასულ წელს მოხდა განათლების საქმის სრული ნაციონალიზაცია, საქართველოს ყველა ნაციონალურ ჯგუფებს თავის ნაციონალურ ენებზე განვითარების საშუალება ეძლევა ყველა საფეხურისა და ტიპის სასწავლებლებში.

გამომცემლობის საქმე.

ნაციონალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად უმთავრესი ყურადღება უნდა მიქცეოდა გამომცემლობის საქმეს. 1921 წელს გამოიცა 23 სახელწოდების წიგნი, 22 წელს—52, 23 წელს—133. ასეთივეა ტირაჟის შეფარდებაც. მენშევიკების დროსთან შედარებით 80 პროც. მეტია გამოცემული. ამ საქმეში ხელს გვიშლიდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის უქონლობა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მუშაობს სამეცნიერო საბჭო.

განათლების ახალი სისტემა.

განათლების სისტემაში შეტანილია დიდი ცვლილება: სოციალური აღზრდა შეფარდებულია მარქსისტულ მსოფლმხედველობასთან. მსხვილ ქალაქებში (მაგ. უკრაინაში) ეს სისტემა შენდება უმთავრესად ინდუსტრიაზე. საქართველოში იგი უნდა აშენდეს სასოფლო მეურნეობაზე. ამაზეა აგებული ჩვენი ცხრაწლიანი სკოლა. ოთხწლიან სკოლასაც მიეცემა სასოფლო-სამეურნეო ხასიათი.

მასწავლებელთა გადამზადება.

ამ მიზნების ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო იყო მასწავლებლობის გადამზადება, რისთვისაც გასულ წელს მოწყობილ იქნა რესპუბლიკის 17 პუნქტში გადასამზადებელი კურსები, რომელიც გაიარა დაახლოვებით 1.500—2000 მასწავლებელმა. მიმდინარე წელს განზრახული გვაქვს გადახალისების უფრო ფართე მასშტაბით მოწყობა და აგრეთვე პერიოდული სპეციალური კურსების დაარსება.

ორ წლიანი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები სოფლად.

ხშირად მაზრები ითხოვენ სასოფლო სამეურნეო ტიპის ტეხნიკუმების გახსნას. ჩვენი აზრით კი ადგილებზე უნდა მოეწყოს უმთავრესად ორწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლები. ამ მიმართულებით ჩვენ ვაწარმოებთ მუშაობას მიწათმოქ. სახ. კომისარიატთან ერთად.

სოციალ. აღზრდის მთავარ სამმართველოს მუშაობა.

სოციალურ აღზრდის სამმართველომ დაამუშავა უკვე ოთხ წლედის პროგრამა, ამუშავებს შვიდ და ცხრა წლედის სამოსწავლო გეგმებს და პროგრამებს. იგი უწევდა და უწევს აგრეთვე ადგილებს საინსტრუქციო ხასიათის ხელმძღვანელობას. მეთოდიური მუშაობის მხრივ სამმართველო არ ჩამოურჩება რ. ს. ფ. ს. რ. სოც. აღზრდის სამმართველოს.

პროფგანათლების მთავარ სამმართველოს მუშაობის გეგმა.

ჩვენ გვჭირდება სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალური ხასიათის ტეხნიკუმები, მაგრამ არა ვიწრო სპეციალური მნიშვნელობისა, პროფგანათლების სამმართველოს მთავარ ამოცანას წარმოადგენს განსაზღვროს სპეც. ტეხნიკუმების რიცხვი. სატყეო სკოლის ორგანიზაციისათვის ბორჯომში სწარმოებს მუშაობა და მომავალი სამოსწავლო წლიდან სატყეო სკოლა ფაქტი იქნება. საფაბრიკო საქარხნო სკოლათა რიცხვი სავსებით საკმაოა მანამდე, ვიდრე ჩვენში მსხვილი მრეწველობა არ განვითარდება.

უმაღლესი სასწავლებლები.

უნივერსიტეტში ჩვენ შევძელით ახალი მსმენელების მიღების დროს კლასიური პრინციპის გატარება. მუშათა ფაკულტეტები, რომლებიც ხელს უწყობენ უმაღლეს სკოლის პროლეტარიზაციას, თავის სიმაღლეზე დგანან. მუშფაკმა თავის არსებობა 100 პროც. გაამართლა.

საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტი იპყრობს სახელმწიფოს მაქსიმალურ ყურადღებას. ჩვენ შევძინეთ უნივერსიტეტისათვის საზღვარგარეთ საჭირო მასალები. უცხოეთში მეცნიერულ მიზნით მივლინებული იყო 15 ქართველი მეცნიერი; გახსნილია ახალი ფაკულტეტები და სხვა. ისიც აშკარად უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტმა დიდათ გაამართლა და ასახელა თავისი არსებობა. მან შექმნა სამეცნიერო ტრადიცია. ის გახდა ჭეშმარიტად სამეცნიერო სკოლად, რომელიც უკვე ეზიარა მსოფლიო მეცნიერებას და მეცნიერულ შემოქმედებას, საბჭოთა ხელისუფლების სახელით გადაჭრით ვაცხადებ, რომ მომავალშიაც უნივერსიტეტი ისარგებლებს სახელმწიფოს მაქსიმალური ყურადღებით და სიყვარულით და მიეცემა შესაძლებელი ყოველგვარი დახმარება თავისი ამოცანების გასაღრმავებლად და გასაფართოებლად.

პოლიტგანათლება

პოლიტგანათლება უკანასკნელ დრომდე ცუდათ იყო დაყენებული. ამჟამად პოლიტ-განათლების სამმართველო ორგანიულად დაუკავშირდა გან. კომისარიატს. დიდი რევოლიუციის 10 წლის თავზე საქ—ში წ. კ. უ. საბოლოოდ აღკვეთილი იქნება. ამ საქმეში დიდი როლი აწევს სახალხო მასწავლებელს.

სოფელს არა აქვს წიგნები, რომელნიც ძალიან ძვირია და სოფლისათვის მიუწვდომი. ამ მხრივ სახელმწიფო უნდა დაადგეს პროტექციონიზმის გზას. და წიგნი უნდა გაიაფოს 50 პროცენტით მაინც. ამავე დროს წიგნი ნისიად უნდა მიეცეს სოფელს. თუ ამ გზას არ დავადგებით, ქართული წიგნი ვერ იშოვის ბაზარს.

საორგანიზაციო მუშაობა.

საორგანიზაციო დარგში განზრახული გეგმაშეწონილი მუშაობის წარმოება-გეგმის განხორციელებაში ხელს გვიწყობს მტკიცე ბიუჯეტი. საქართველოს გან. კომ. ეძლევა სახ. გან.

გლეხთა დახმარების კომიტეტების გაძლიერებისათვის

ყველა მაზრის აღმასკომებს, მაზკომებს, მაზპროფბიუროებს, სოფლის შეფებს, სახალხო მასწავლებლებს და ყველა პატიოსან მოქალაქეებს.

მოგიწოდებთ საბჭოთა ხელისუფლების ყველა მაზრის ორგანოებს, ორგანიზაციებს, სოფლის შეფებს, სახალხო მასწავლებლებს და ყველა პატიოსან მოქალაქეებს, რათა მეტათ სერიოზული და აქტიური დახმარება გაუწიოთ საბჭოთა ხელისუფლების დავალებით სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ მოწყობილ საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტებს. მოგიწოდებთ თქვენ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. თქვენი პირადი მონაწილეობით განავითაროთ და გააძლიეროთ საურთიერთო დახმარების საქმე.

თქვენ ღრმათ უნდა განიმსჭვალოთ იმ აზრით, რომ საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების მიზანია სოფლად საბჭოთა ხელისუფლების გამაგრება და კომუნიზმის განმტკიცება, რომ ეს კომიტეტები არა მარტო ეხმარებიან ომის ინვალიდებს, ქვრივ ობლებს, სტიქიურ უბედურებით დაზარალებულ გლეხკაცობას, არამედ მათ მოვალეობას შეადგენს აგრეთვე გლეხკაცობის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი კეთილდღეობის ყოველმხრივი ამაღლება (სამეურნეო, კულტურული და სხვა). გლეხთა კომიტეტებს ევალებათ მიაღებინონ მონაწილეობა თავის საქმეში გლეხკაცობის ფართე მასებს საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაწყობათ, მათ ევალებათ შეაგნებინონ სოფლის გლეხკაცობას პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ლოზუნგი, რომ მუშათა და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე თვით მუშათა, მშრომელთა საქმეა.

ჩვენ ეს კარგათ უნდა შევიგნოთ და შევაგნებინოთ სოფლის გლეხკაცობას. გლეხთა კომიტეტებში მუშაობა შეიძლება სხვადასხვა სახით: პროპაგანდა-აგიტაციით გლეხთა კომიტეტების იდეების გასავრცელებლათ, გლეხთა კომიტეტების სხდომებზე მონაწილეობის მიღებით, მათი დადგენილებების ცხოვრებაში გატარებით, მათ მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებით და სხვა.

მაშ მიიღეთ უახლოესი აქტიური მონაწილეობა გლეხთა კომიტეტების მუშაობაში და გაავრცელეთ ხალხში საურთიერთო დახმარების იდეები, რადგან ამით თქვენ განავითარებთ ჩვენი ქვეყნის გლეხკაცოპის თვითმოქმედებას და გააძლიერებთ ურთიერთ დახმარების საქმეს.

გაუმარჯოს საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტებს!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა ერთობას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მიხ. ცხაკაია.**

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი **კ. სოშერიკი.**

პრესის ცენტრალურ ექსპედიციის მუშაობის მოკლე მიმოხილვა

(1923 წ. 1 ოქტომბრიდან 1924 წ. 1 თებერვლამდე)

ბეჭდვითი გამოცემების გავრცელება ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი, თუ კარგათ არ იქნება დაყენებული **ექსპედიციის** მუშაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის 1 ოქტომბრამდე ექსპედიციის მუშაობას მრავალი ნაკლი ჰქონდა და ამიტომ ტფილისში დაბეჭდილ პერიოდულ და სხვა გამოცემების გავრცელება ვერ იდგა საჭირო სიმაღლეზე.

გასული წლის ოქტომბერში ექსპედიციის საქმე გადახალისდა. ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა გამგეობა, რომელიც შესდგებოდა სხვადასხვა გაზ. წარმომადგენლებისგან და ექსპედიციის გამგისგან. გამგეობის თავმჯდომარეთ დაინიშნა ს. პ. კ. ს. მდივანი ამხ. **უჩუმლაშვილი.**

ამ მიმოხილვაში შევეხებით უმთავრესად გადახალისებულ ექსპედიციას, მაგრამ რომ მკითხველისთვის ნათელი იქნეს, თუ რა პირობებში მოუხდა მუშაობის გაფართოება ახალ გამგეობას და აგრეთვე ის, თუ რას მიაღწია ექსპედიციამ, საჭიროა თუნდაც გაკვრით შევეხოთ—რა მდგომარეობაში იყო ექსპედიციის საქმე ოქტომბრამდე.

აუცილებელია აღინიშნოს ის დიდი ნაკლი, რომელიც ჰქონდა ექსპედიციის საქმეს ახალი გამგეობის არჩევამდე:

1. ძალიან ცუდათ იყო დაყენებული ხელისმომწერთათვის გაზეთების მიწოდების საქმე. ხშირად ხდებოდა, რომ ადგილობრივი და განსაკუთრებით პროვინციის ხელისმომწერნი არ ღებულობდენ თავის დროზე გაზეთებს, ხანდახან კი სრულიადაც არ ღებულობდენ რამოდენიმე დღის განმავლობაში ზედიზედ.

2. პროვინციის ზოგიერთ ადგილებში სრულიად არ ღებულობდენ ტფილისის გაზეთებს, თუმცა ამის მოთხოვნილება დიდი იყო.

3. ექსპედიცია არ იყო დაკავშირებული თავის კონტრაგენტებთან, განსაზღვრულ ხელშეკრულებებით. ექსპედიციასა და მის კონტრაგენტებს შორის გამოურკვეველი დამოკიდებულება და კავშირი არსებობდა; ეს გარემოება კი მრავალ გაუგებრობას იწვევდა და ამას გარდა დიდი ნივთიერი ზარალი მოჰქონდა როგორც ექსპედიციისათვის, ისე გამომცემლობისათვის. ამის დასამტკიცებლად საკმაოა იმ გარემოების აღნიშნაც, რომ კონტრაგენტები განზრახ აგვიანებდენ ფულის გადახდას, ცდილობდენ რაც შეიძლება მეტ ხანს გაეჩერებიათ გაზეთების და ჟურნალების გაყიდვიდან აღებული ფული, დაგვიანებით გადახდილი ფული კი, ბონების კურსის დაცემის გამო, ვერ ფარავდა იმის მესამედსაც, რაც იხარჯებოდა გასასყიდათ გაცემულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო მკითხველთა რიცხვის გამრავლება, ტირაჟის გადიდება, ჩვენი გაზეთების ნივთიერი გაუმჯობესება და სხვა. საქმე იქნობამდი მივიდა, რომ პროვინციაში ზოგიერთი ადგილები სრულიად უარს აცხადებდენ ყოველგვარ გაზეთის გამოწერაზე. ასე იყო, მაგალითად, ჭიათურაში, სადაც მუშებმა საერთო კრებაზე დაადგინეს საერთოდ არ გამოიწერონ არც ერთი გაზეთი, რასაც ასაბუთებდენ იმით, რომ გაზეთებს მაინც არ იღებდენ და თავის ნაშრომის ფულს უბრალოთ დაკარგვა მათ არ უნდოდათ.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მოსკოვის გაზეთების გავრცელების საქმე არ იყო დაყენებული ჯეროვან სიმაღლეზე. ექსპედიციამ მთელ თავის არსებობის განმავლობაში ვერ გამოარკვია გამოსაწერ გაზეთების რიცხვი. ჩვეულებრივათ ჩვენ გაცილებით უფრო მეტს ვიწერდით, ვიდრე მათზე მოთხოვნილება იყო ადგილობრივად. მოსკოვი გამოწერილ ნომრებს უკან არ იღებს. იმ ნომრების საფასურის, რომლებიც გაუყიდველი რჩებოდა, ზარალის თავიდან ასაცილებლად, უმატებდით გაყიდულ ნომრებზე. ეს იწვევდა მოსკოვის გაზეთების ფასის საშინელ გადიდებას. გაზეთების გამოწერის გადიდება კი ექსპედიციამ ვერ შესძლო, ვინაიდან ასეთ პირობებში, როდესაც გაზეთის ყოველი ხელის მომწერი კარგავდა 5—10 ნომერს, ხოლო დანარჩენებს ძალზე დაგვიანებით იღებდა, ამაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო.

აი დაახლოვებით ის პირობები, რომელშიც ახალ გამგეობას მოუხდა მუშაობის დაწყება.

რა გააკეთა ექსპედიციის ახალმა შემადგენლობამ აღნიშნულ სამ თვის განმავლობაში.

ვიდრე ექსპედიციის ახალი შემადგენლობა შეუდგებოდა საორგანიზაციო გადაკეთებას და გადახალისებას, ის იძულებული იყო მიეღო სასწრაფო ზომები მიწოდების საქმის გამოსასწორებლათ.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ამ მხრით ძალიან ზიანდებოდა პროვინცია. საჭირო შეიქნა პროვინციის აგენტების გაწმენდა. ცეკას ენერგიულ დახმარებით გამგეობამ შესძლო ძველ აგენტების ნაცვლად ექსპედიციის მუშაობაში პარტიულ მუშაკების ჩაბმა. ამის გარდა აგენტების რიცხვი საკმაოდ გაიზარდა. გამოსადეგ და პარტიულ წესით საქმის წარმოებისათვის პასუხისმგებელ პირების შერჩევამ საუკეთესო შედეგები მოგვცა.

ამ ჟამად ყოველ სამაზრო პარტკომთან არის ამხანაგი, რომელიც პასუხისმგებელია ექსპედიციის საქმის დაყენებისათვის, მასზე მინდობილ რაიონის ფარგლებში. მთელი საქართველო დაყოფილია რამოდენიმე რაიონათ და ამ რაიონების მიმართ ბეჭდვითი გამოცემებით სწარმოებს სრულიად წესიერათ და შეუწყვეტლად. ხელის მომწერთ იციან (ეს არა ერთხელ ყოფილა გამოქვეყნებული გაზეთში), სად უნდა მიმართონ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო ისინი თავისდროზე არ მიიღებენ გამოწერილ გაზეთებს. ყურადღება მიექცა აგრეთვე გაზეთების სწორ და თავის დროზე მიწოდებას ქალაქში მიღებულ ზომების მეოხებით; საჩივრები გაზეთის მიუღებლობისა ან დაგვიანების, შესახებ ამ ჟამად თითქმის სრულებით არ მოგვდის, გარდა იშვიათ განცხადებისა. უმეტეს შემთხვევაში ირკვევა, რომ ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ ადგილობრივ პირობებში (მაგალითად, ადგილკომმა მიიღო გაზეთი და არ გადასცა დანიშნულისამებრ).

ეს მუშაობა ექსპედიციამ სასწრაფოდ ჩაატარა დამკვრელ წესით და ამის გარდა შეიმუშავა ზომების მთელი რიგი, რომელთა ცხოვრებაში გატარების შემდეგ, არც ერთი სოფელი საქართველოში არ დარჩება უგაზეთოთ. საქმის კარგათ დაყენების შედეგი გამოიხატა შემდეგში:

1. გაორკეცდა გაზეთების შემოსავლიანობა, მაგალითად, ოქტომბერში გაზეთ „კომუნისტმა", „რაბოჩაია პრავდამ" და „მუშამ", რომელთა საერთო ტირაჟი იყო 101,000 ც. მიიღეს 2073 მ. 10 კაპ., იანვარში იგივე გაზეთებმა, რომელთა ტირაჟი ამ თვეში იყო 102.898, მიიღეს 4453 მან.

საკმაოდ გაიზარდა შემოსავალი მოსკოვის გაზეთებისაგანაც: მარტო ოქტომბერში ექსპედიციის სალაროში შემოვიდა 2490 ცალის საფასური, ხოლო იანვარში კი 3090 ცალის საფასური: უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის გაზეთებს მრავალი ზედმეტი ხარჯი აქვთ. ტომრებში ჩალაგება, გადაგზავნა. ყველაფერი ეს ხდება ჩვენი ექსპედიციის ხარჯზე. ამის გარდა ექსპედიცია ხელის მოწერას იღებს ბონებით, ხოლო მოსკოვთან ანგარიშებს ასწორებს ჩერვონცებით, რაზედაც ექსპედიცია კარგავს ხელის მოწერის ღირებულების 10 პროცენტამდე. მიუხედავად ამისა, საქმის უკეთ დაყენების გამო, ექსპედიციამ შესძლო ზედმეტ ხარჯის შემცირება. მაგალითად ოქტომბერში ხარჯები უდრიდა 3534 მანეთს, იანვარში კი ეს ხარჯი უდრიდა 3085 მან.

საერთოდ ხელის მომწერთათვის გაზეთების მიწოდების საქმის მოგვარებამ გავლენა იქონია მოსკოვის გაზეთების ტირაჟზედაც. თუ ოქტომბრამდე ექსპედიცია იწერდა მოსკოვის „პრავდას" 700 ცალს, რომლებიდანაც ნახევარზე მეტი არ საღდებოდა, ამ ჟამად ჩვენ ვიწერთ 900 ცალს და სავსებით ვასაღებთ მას. ასეთივე შეფარდებით გაიზარდა მოსკოვის სხვა გაზეთების ტირაჟიც.

უკვე იანვრის დასაწყისში გამგეობას შემუშავებული ჰქონდა გეგმა მოსკოვის გაზეთების ფასის შესამცირებლათ. აქვე მოგვყავს ფასების შედარებითი ცხრილი.

მოსკოვის გაზეთების ფასები მარტისთვის.

გაზეთების სახელწოდ.	ხელის მოწ. ფასი				
	მოსკოვის		ადგილ. ქალაქში და პროვ. მიწოდებით		
	მან.	კ.	მან.	კ.	
1 პრავდა	1	70	1	75	14 პრ.
2 ტრუდ	1	70	1	75	14 პრ.
3 რაბ. მოსკ.	1	70	1	75	14 პრ.
4 იზვესტია	1	70	1	75	14 პრ.
5 სავაჭ.-სამრ. გაზ.	1	70	1	75	14 პრ.
6 გუდოკი	—	90	—	95	29 პრ.

დაახლოვებით ასეთივე საპროცენტო განსხვავებაა ყველა სხვა მეორეხარისხოვან გამოცემაზე. წვრილმან გასაყიდათ ყველა გაზეთის ფასი, როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში, არ აღემატება გაზეთზე აღნიშნულ ფასს.

ამ ცხრილის საშუალებით ადვილი გამოსარკვევია, რომ მომავალში ზედმეტ ხარჯებით გამოწვეული ფასის გადიდება ძალიან მცირე იქნება.

რაც შეეხება ადგილობრივ გაზეთებს, ექსპედიცია კმაყოფილდება სულ მცირე ფასით, ყოველთვიურ ნომრის მიწოდებისათვის ქალაქში ექსპედიციას მიაქვს 4 საქ. კაპეიკი პროვინციაში კი რკინის გზის ან ფოსტის ნამდვილი ტარიფი და ხელის მოწერის ფასის 5 პროც.

რამდენად მცირეა ეს ფასები, დაგვანახვებს შემდეგი შედარება: ბაქოს გაზეთი „ტრუდ" ღირს 30 კაპ. ექსპედიცია კი თვიურ მიწოდებისათვის ქალაქში იღებს არა ნაკლებ 40 ძაპ.

ჩვენ ზედმეტ მნიშვნელობას არ ვაძლევთ ამ მიღწევებს, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ჩვენ ერთ წუთითაც არ გვავიწყდება, რომ ჩვენ პროვინციალურ აგენტების რიცხვი ეცირება. საჭიროა მისი გადიდება ამას გარდა ჩვენს წინაშე დგას მორიგი ამოცანა მოვაწყოთ ზაფხულისათვის გაზეთების წესიერ მიწოდება საადგარაკო ადგილებზე, სადაც განზრახულია დასასვენებელ სახლების მოწყობა. უკვე გათვალისწინებული გვაქვს ოცი ასეთი ადგილი, აქ შედის ზემო-სვანეთი, ბახმარო და სხვა ძნელი მისაწვდომი ადგილები.

ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ ფოსტით გაზეთების მიწოდება შეუწყვეტელი გახდეს.

საქმე ისაა, რომ ჩვენი ფოსტის დაწესებულებები ყველგან ერთნაირათ კარგათ ვერ მუშაობენ. ჩვენ ვცდილობთ, სადაც ეს შესაძლებელია, გაზეთების მიწოდება მოვაწყოთ რკინის გზის საშუალებით, იმ ადგილებზე კი, სადაც რკინის გზა არ გადის, ჩვენ ვცდილობთ გაზეთები მივაწოდოთ ჩვენი აგენტების საშუალებით.

ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ საქმის იდეალურათ დაყენებისაგან, მაგრამ ძირითადი მიზეზები—მოუწესრიგებლობა, გაზეთების თავის დროზე მიუწოდებლობა, ექსპედიციისა და მის აგენტებ შორის ურთიერთობის გამოურკვევლობა,—უკვე მოვიშორეთ.

ამ ჟამად ექსპედიციის ტეხნიკური ნაწილი მუშაობს სრულიად დამაკმაყოფილებლად, ექსპედიციის მუშამოსამსახურეთა შორის შრომის დისციპლინა შესაფერ სიმაღლეზე სდგას, ჩვენ აგენტებთან დადებული გვაქვს ხელშეკრულება, რაიც აზორებს რედაქციას დიდ ზარალს. ამ გარემოების დასახასიათებლად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ყველა გაზეთი, რომელიც ჩვენგან გადის, პროვინციიდან თავის საფასურს იღებენ 6 დღის შემდეგ, რაიც წარმოადგენს უდიდეს ვადას. ადგილობრივად კი გაზეთის საფასური გაზეთის კანტორაში შემოდის ყოველდღიურად ორ საათის შემდეგ.

ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს დარწმუნებული ვიყოთ, რომ სულ ახლო მომავალში, ორ-სამი თვის განმავლობაში, ჩვენ შევძლებთ ამ მნიშვნელოვან ორგანიზაციის შესაფერ სიმაღლეზე დაყენებას. ამას ვცდილობთ ჩვენ. დასახულ ამოცანების განსახორციელებლად ჩვენ შევქმენით ყველა ნივთიერ და საორგანიზაციო წინასწარი პირობები.

დასასრულ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. ბეჭდვითი ექსპედიცია უკანასკნელ დრომდი (მის გადახალისებამდე) თავისთავად წარმოადგენდა საზარალო დაწესებულებას, რომელიც არსებობდა მთავრობის დახმარებით. ამ ჟამად ასეთი მდგომარეობა მოისპო. ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია თავისივე საშუალებით ფარავს საკუთარ ხარჯებს და თავის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე მას განზრახული აქვს თანდათან შეამციროს გაზეთებისა და სხვა გამოცემათა მიწოდების ტარიფი.

ბეჭდვითი ცენტრალურ ექსპედიციის გამგეობა.

მუშათა ხმოვნები

ამხ. ლენინის ძეგლის გარშემო.

ილიჩის უკვდავსაყოფად.

ილიჩის უკვდავსაყოფად არის აზრი ტფილისში თავისუფლების მოედნის გაფართოების შემდეგ მისი ძეგლის იქ დადგმის.

მე პირადათ რამოდენიმე ამხანაგთან ერთად ვიმსჯელე ამ საკითხის გადასაჭრელად და მივედით შემდეგ დასკვნამდე: რადგანაც ქარავანთ ქარვასლა არის შემოსავლიანი შენობა და, რაც ზევით სჩანს შენობა იმდენივე თითქმის არის ქვევით გაშენებული, რომელთა გაუქმებაც დიდ ზარალს გამოიწვევს, ამიტომაც უკან დახევაც შესაძლებელია იქვე მახლობლად უფრო უვარგის შენობის (თავის ფორმით და მდებარეობით) გადაკეთებით, ჩვენის აზრით ვარჩიეთ შემდეგი:

ლენინელთა კლუბს (ყოფილი სამხედრო სობორო) მოშორდეს თავი. მე, როგორც ლენინელი, შემიძლია თამამად ვსთქვა, რომ ყველა ჩვენები ამას სიხარულით შეხვდებიან, ამით საშუალება მოგვეცემა კიდეც, ჩვენს სულის ჩამდგმელს ჩვენი კლუბი ძეგლის საძირკველათ მიუძღვნათ. დაყვანილი იქნეს 8—9 არშინის სიმაღლემდე მიწიდან, მისი სახურავი იქნეს სწორი და ზედ გაშენდეს ნიმუში ქარხნის ცხოვრების, საბჭოთა აღმშენებლობის. იქვე ქურა, დაზგები, ბორბლები, ჯაჭვებთა ნაწყვეტები და სხვ. ასეთები, მეორე მხარეს, ამავე მოედანზე, ნიმუში გლეხთა ცხოვრების, გლეხი ნამგლით, თოხით, ბარით, სახნავ-საკვეთით, სახნისით და სხვ.

ეს დადაბლებულ შენობის ზევით, თვით შენობაში წიგნთ-საცავი ლენინის ნაწერებით და ლენინის ირგვლივ დაწერილით, შენობის ირგვლივ მიწაზე ბაღი გაშენებული. თვით ძვირფას მასწავლებლის ძეგლი კი, თავ გადართმეულ სამრეკლოზე, რომელიც იქმნება მოწყობილი, შეკეთებული, როგორც ტრიბუნა. ზედ თვით ილიჩი ხელით მაჩვენებელი ზემო აღნიშნულ ქარხნის და სოფლის ნიმუშთა და მეორე ხელით მაჩვენებელი საბჭოთა სახალხო კომისრებთა საკრებულოსი. ტრიბუნი იქნება შედარებით მაღალი, ვიდრე თვით ქარხნის და სოფლის ნიმუშის გამომხატველი ქანდაკებანი, ტრიბუნაზე იქნება წარწერები დიადი მებრძოლის ღრმა განცდებთა ამონაძახის, ტრიბუნასვე ექნებს შუა ალაგას საბჭოთა კავშირების ღერბი (წითელი არმიელი, მუშა და გლეხი).

ინფორ. ი. ხვანიძე

—

კიდევ ერთი აზრი ვ. ლენინის ძეგლის აგების შესახებ ტფილისში

(პასუხად ტრამვაის მუშას—ვართანოვს).

გაზეთ „რაბოჩაია პრავდაში“-ში 13|12—24 წ. № 36 მოთავსებულია წერილი ტრამვაის მუშის ვართანოვის—„ჩემი აზრი“ ამხ. ლენინის ძეგლის აგების შესახებ. რედაქცია მოუწოდებს ყოველ მუშა-მოქალაქეს გამოსთქვას დასმულ საკითხზე თავისი აზრი. ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემ თავს ამის გამო მეც გავაცნო საზოგადოებას ჩემი აზრი.

მთელი ჩემის შეგნებით და სულიერი აღტაცებით ვეგებები განზრახულ საქმის დაწყებას და შეძლებისდაგვარად მეც შევიტან მის დაგვირგვინებაში წვლილს. ცდა იქეთკენ უნდა იქნეს მიმართული, რომ ღირსეულ და სულით მაღალ ადამიანის ძეგლი აღიმართოს ღირსეულ და მაღალ ადგილზე. ასეთი ადგილი. რასაკვირველია, ქალაქში არის თავისუფლების მოედანი (ყოფილი ერევნის) მხოლოდ მისი სივიწროვის და სიპატარავის გამო შეიძლება მიზანი ვერ იქნას მიღწეული. განზრახული ყოფილა ქარვასლის შენობის სრულიად აღგვა და იქ ძეგლის ამართვა, ცხადზე უცხადესია, ადგილი შესაფერისი იქნება, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ აღნიშნული შენობის აქედან აღება გამოიწვევს უამრავ ხარჯებს, მოინდომებს ბევრ დროს და უმთავრესად კი მიაყენებს დიდ ზიანს ჩვენ კომუნალურ მეურნეობას, ვინაიდან არსებულ ქარვასლაში მოთავსებულია ისეთი ტიპის საწარმოვო დაწესებულებანი, რომლებიც იძლევიან დიდ შემოსავალს ქირების სახით და სხვადასხვა. ღრმად დარწმუნებული ვარ, ჩვენი დიდი მასწავლებელი რომ ამჟამად ცოცხალი იყოს, არავითარ შემთხვევაში ასეთი საქმის დაწყებას არ მოგვიწონებდა.

ჩემის აზრით, უფრო რაციონალური იქნებოდა და ხსოვნა ილიჩზე მუდამ წარუშლელი ჩვენს მეხსიერებაში, ნაცვლად შენობების ნგრევისა, კომუნალური მეურნეობა, შენობებისაგან შემოსავალს მოანდომებდეს ილიჩზე ლიტერატურის გავრცელებას, მოხეტიალე ბავშვებისათვის საცხოვრებელ წყაროს აღმოჩენას და მთელი რესპუბლიკის სხვადასხვა ტიპის სასწავლებელთა ქსელით დაფარვას.

ასე, ამრიგად, მომავალი თაობა, რომელიც იზრდება ლენინიზმის ნიადაგზე, დაუვიწყრად ატარებს თავის გულში მუშათა კლასისათვის მედგარი და თავდადებული მებრძოლის—ილიჩის ხსოვნას.

ძეგლისათვის ვასახელებ ყოფილ ვორონცოვის ძეგლის ადგილს ან სხვას, სადაც არავითარი ნგრევა შენობებისა არ იქნება გამოწვეული და ადგილი ცენტრალურიც არის—ვიდრე თავისუფლების მოედანი.

შ. ა. დევდარიანი.

—

მუშის ხმა ილიჩის ძეგლის შესახებ

(ქალ. საბჭოს და აღმასკომის საყურადღებოდ).

ჩვენს გაზეთებში აღიძრა საკითხი ძვირფასი ილიჩის ძეგლისათვის ადგილის ამორჩევის შესახებ. ჩვენ, მუშები, მწვავეთ დაინტერესებული ვართ იმაში, რომ ძვირფას მასწავლებლისთვის საუკეთესო და ღირსეული ადგილი იქნეს ამორჩეული. ჩვენ ამისათვის არავითარ ქონებას არ დავიშურებთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მე, როგორც ვფიქრობ, მუშა, რომ გრძნობამ ძლიერ არ გაგვიტაცოს და მასწავლებლის პატივისცემის მიზნით მის მიერვე ნაჩვენებ გზას არ გადავცდეთ. „რაბოჩაია პრავდას“ № 36-ში მოთავსებულია რამოდენიმე გეგმა. სხვათა შორის თავისუფლების მოედანს ასახელებენ, რომლის გასაფართოებლათ ყოფ. თამამშევის ქარვასლა უნდა დაიქცესო. ლენინს რომ შეეძლოს ამის გაგონება, ვფიქრობ, გაგვიწყრებოდა, რადგან მისი პატივისცემა დანგრევაში კი არა, აღმშენებლობაშია, და თამამშევის ყოფ. ქარვასლა ერთი ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობისათვის მნიშვნელოვანი შემოსავლიანი დირებულებაა. უნდა ვეცადოთ, ქარვასლის დანგრევას გვერდი აუხვიოთ, ზემელის აფთიაქის მიდამოც შეუფერებელია განკერძოების გამო, ხოლო მე მინდა ამხ. მუშების ყურადღება მივაპყრო ერთ ალაგს: რუსთველის პროსპექტზე რომ ძველი მუზეუმია, ის ახალის დამთავრებისთანავე კარგავს თავის მეცნიერულს მნიშვნელობას და ამ შენობის აღება არავითარ ზარალს არ მისცემს ქალაქს, ამავე ალაგს რომ შემოუერთოთ ალექსანდროვის ბაღი საკმაოდ ფართე ალაგი იქნებოდა ილიჩის ძეგლისათვის, ვფიქრობ, კარგი იქნება: მარცხნით ჩვენი მუშათა სასახლე უდარაჯებს ძვირფას ლიდერს, მარჯვნივ ცენტრალური სასახლეც ახლოს ექნება და პირდაპირ მდებარე სობოროს ახლანდელი სახეც, ხომ მალე შეიცვლება ალბათ აქ რაიმე ხელოვნებისა და მეცნიერების კერა დაინთება. იქვე კუნჭულში მოწყენილი ჩვენი ეგნატე ნინოშვილიც ბედნიერათ იგრძნობს თავს დიდი რევოლიუციონერის ძლევამოსილ ფრთებს ქვეშ.

მუშა ლევან ენუქიძე.

—

აფთიაქებში მომუშავეთა შორის.

6 ამა თებერვალს საფარმაციო განყოფილებაში შესდგა აფთიაქებში მომუშავეთა საზოგადო კრება.

დღის წესრიგში № 15 ადგილკომის ანგარიში იდგა. მომხსენებელმა ამხ. კანდელაკმა აღნიშნა, რომ ადგილკომის მუშაობა მიმდინარეობდა არახელსაყრელ პირობებში. ანგარიში შეეხებოდა ადგილკომის მუშაობას 1923 წ. ოქტომბრიდან ა. წ. იანვრამდის.

აღნიშნულ დროის განმავლობაში ადგილკომის სხდომა 8-ჯერ შემდგარა, რომელზეც 20 კითხვები გაურჩევიათ. საზოგადო კრებები მოწვეულია 5 ჯერ.

ადგილებთან მჭიდრო კავშირის დასაჭერად პასუხისმგებელი მდივანი ძალიან ხშირათ დადის, ამ ადგილკომში გაერთიანებულ დაწესებულებებში და თვალს ადევნებს მუშაობას პროფესიონალურ დარგში.

თვალყურს ადევნებს აგრეთვე ინდივიდუალურ საწევრო გადასახადის დაუგვიანებლად აკრეფას.

„მუშკოპში“ მუშა-თანამშრომლებისათვის საქონლის კრედიტით სარგებლობა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, კულტკომისიის მუშაობა ამოიწურებოდა თითქმის მხოლოდ გაზეთების გამოწერით და ჟურნალის „მედიცინაში მომუშავე“-ს დარიგებით. ბოლო ხანებში კულტკომისიის განახლებული შემადგენლობა ცდილობ კედლის გაზეთის გამოცემას.

არსებობს სამკითხველო, რომლითაც ხალისიანათ სარგებლობენ ადგილობრივი მუშა-მოსამსახურენი.

მოხსენების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში კრება სთვლის ადგილკომის მუშაობის გეზს სწორად, მაგრამ ავალებს ადგილკომს გააძლიეროს კულტმუშაობა და შრომის დაცვაზე მზრუნველობა.

ა. ნ.

—

ჯამაგირებს ვერ გვაძლევენ დროზე.

(რკინის გზის სამმართველოს და პროფკავშირთა საყურადღებოდ)

სავაგონო პარკის მუშებს იანვრის ჯამაგირები ძალიან დაგვიანებით დაურიგდათ; მოსალოდნელია ასე მოხდეს თებერვალშიაც, რის გამო დიდ უკმაყოფილებას ვაცხადებთ აქაური მუშები.

ფულის დარიგებას მაშინაც, როდესაც გვაძლევენ, იწყებენ 1-ლ საათიდან—5 საათამდის. თანახმად კოლექტიური ხელშეკრულებისა ეს დაუშვებელია. იმედია, დეპოს ადგილკომი მიიღებს სათანადო ზომებს, რომ ეს უკანონობა მოვალშიაც არ განმეორდეს.

მუშკორი რკინის ღერძი.

—

გაწმენდა არის საჭირო.

(რკინის გზის პროფკავშირის საყურადღებოდ).

ლიანდაგის სამმართველოში ჯერ კიდევ დიდი უწესრიგობა არის. ადგილკომი დიდად ცდილობს, რომ გაწმინდოს სამმართველო არასასურველ პირებისაგან, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. ავიღოთ უბრალო მაგალითი: არის ისეთი „პიროვნებები“, რომელნიც მხოლოდ გაზეთის საკითხავად მოდიან სამსახურში. ისინი გაზეთის კითხვის მეტს არაფერს აკეთებენ იმ დროს, როდესაც მეორე დატვირთულია სამუშაოთი. ზოგიერთს შეიძლება სამუშაო ბევრიც ჰქონდეს, მაგრამ ყურადღებასაც არ აქცევს. საჭიროა, ყურადღება მიაქციოს ამას საუბნო პროფკავშირმა და გასწმინდოს ეს დაწესებულება რკინის ცოცხით უსაქმო და ზარმაც პირებისაგან.

მუშკორი ჟაკი.

—

მუშათა ქრონიკა.

— **დახმარება ავადმყოფ მუშებს.** ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოს გადაეცა ავტომობილი, რის საშუალებით ექიმებს შეძლება ეძლევა სასწრაფოდ დახმარება აღმოუჩინონ ავადმყოფ მუშებს ოჯახებში.

— **წითელ დაფაზედ.** ლიანდაგის სამმართველოს მუშებმა და მოსამსახურეებმა დაადგინეს დასწერონ „წითელ დაფაზე“ ამხ. ზერიევი, როგორც კარგი მუშაკი.

მუშკორი ჟაკი.

საჭიროებისათვის 4,061 ათასი ჩერვ. მანეთი, რაც საქართველოს საერთო ბიუჯეტის 55 პროცენტს შეადგენს. აქედან მასწავლებლობის შრომის ხელფასზე იხარჯება 3.700 ათასი მანეთი ე. ი. დაახლოვებით 80 პროც., დანარჩენი 961 ათასი მანეთი იხარჯება განათლების სხვა საჭიროებაზე. ამრიგათ სახელმწიფო, რომელიც დიდ სამეურნეო მშენებლობას აწარმოებს, გაჰყავს გზები, ახდენს ქვეყნის ელექტროფიკაციას, მელიორაციას და სხვას, განათლებაზე ხარჯავს თავის ბიუჯეტის 50 პროც.-ს ეს დიდი მსხვერპლის გაღებაა.

საქ. ცენტრალურ აღმასკომის დადგენილება, რომ განათლების მუშაკების ხელფასი დაუახლოვოს ინდუსტრიალურ მუშაკების ხელფასს, თანდათანობით ხორციელდება.

საბჭოთა ქვეყანა არასოდეს არ დაივიწყებს მასწავლებლობის უდიდეს გმირობას, როცა სამი თვის ჯამაგირ მიუღებელი, იგი მაინც თავის დანიშნულების პოზიციებზე იდგა. მომავალში კომისარიატი კავშირის ცენტ. გამგეობასთან ერთად საერთო პასუხისმგებლობით და ძალღონით იბრძოლებს განათლების მუშაკთა პირობების გასაუმჯობესებლად.

მომხსენებელს აჯილდოვებენ მხურვალე ტაშით და უმართავენ ხანგრძლივ ოვაციებს.

საბჭოთა სასამართლოში

მეგალიშვილის საქმე.

ამა წლის 14 თებერვალს აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში ამხ. კვარავას თავმჯდომარეობით დაიწყო ვახტანგ მეგალიშვილის საქმის განხილვა. მეგალიშვილს ბრალად ედება ყაჩაღობა და გაძარცვა.

1923 წ. 28 იანვარს მეგალიშვილი უცნობ პირებთან ერთად თავს დაესხა ტფილისში ეკატერინეს ქუჩ. მოქ. პავლე კოგანს და გაძარცვეს ის. წაიღეს 700 მილ. მან. სხვადასხვა ძვირფასი ნივთები.

საქმის გამო გამოძახებულია 23 მოწმე. დამცველად არის ბარათაშვილი. პროკურორად—ჩხიკვაძე-სვირსკი.

სასამართლოს სესია ლიუქსემბურგში.

14 თებერვალს აღმოსავლეთი საქართველოს საოლქო სასამართლოს სესია ამხ. შომახიას თავმჯდომარეობით გაემგზავრა კოლონია ლიუქსემბურგში. სესიას განზრახული აქვს განიხილოს დაახლოვებით 30 საქმე. ბოროტმოქმედებათა ხასიათის მიხედვით, საქმეები განაწილებულია შემდეგნაირად: უმრავლესობა—მკვლელობა, შემდეგ—გაუპატიურება, და მხოლოდ ერთი საქმე ეხება სამსახურში ჩადენილ ბოროტმოქმედებას.

ქრონიკა

— **ბანკის განყოფილებები.** ა|კ. ფინანსთა კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა მოაწყოს ბანკის განყოფილებები რუსეთის მომხმარებელ საზოგადოებებთან.

— **ჩეკების ხმარების შემოღება.** ა|კ. ფინანსთა კომისარიატმა წინადადებით მიმართა ყველა საკრედიტო დაწესებულებებს, რომ მათ შემოიღონ ბანკებში ფულთან ერთად ჩეკების ხმარება.

— **სამკურნალო დახმარება სახ. მამულების მუშა-მოსამსახურეებს.** სოც. დაზღვევის სამმართველო ამ ჟამად იმუშავებს გეგმას სახელმწიფო მამულების მუშა-მოსამსახურეთათვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

— **გაერთიანებული ფონდი.** სოციალურ დაზღვევის მთავარ მმართველობამ დაადგინა: გააერთიანოს სამკურნალო დახმარების, ინვალიდთა და უმუშევართა ფონდები ერთ დიდ ფონდათ.

— **დახმარება უმუშევრებს.** 22 თებერვალს სოც. დაზღვევის ქვე-განყოფილება თებერვლის დახმარებას მისცემს—მბეჭდავთა, ტრანსპორტზე მომუშავეთა, მელითონეთა, აღმშენებლობის და სახალხო კავშირის სექციების უმუშევრებს.

— **პენსიების გადიდება.** სოც. დაზღვევის განყოფილებამ პენსიონერთა პენსიების გასადიდებლად დაარსა სპეციალური კომისია.

— **გლეხთა სასახლე.** სრ. საქ. ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტმა წინადადება მისცა ქალ. აღმასკომს გლეხთა სასახლის მოსათავსებლად გაანთავისუფლოს სასტუმრო „ბელვიუ“.

— **რევოლიუციისათვის ბრძოლაში დაღუპულთა აღსანიშნავად.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა წინადადებით მიმართა პოლიტგანყოფილებას, რომ წითელარმიელთა სიებში პატივსაცემ წითელარმიელთა სახელწოდებით ჩარიცხონ ის ამხანაგები, რომელნიც დაიღუპენ პროლეტარულ რევოლიუციისათვის ბრძოლაში და დაჯილდოვებულ იქნენ „წითელი დროშის“ ორდენით.

— **პროლეტარულ სტუდენტთა სასადილო.** ახლო ხანში პროლეტარულ სტუდენტთა სასადილო გადავა ახალ ბინაზე ყოფ. მცირე თეატრის შენობის 1 სართულში.

— **გერმანიაში მყოფ სტუდენტთათვის.** პროლეტ. სტუდენტთა ბიუროსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა იზრუნოს გერმანიაში მყოფ სტუდენტთა დასახმარებლათ.

— **ჟურნალი „კავშირი“ № 8.** გამოვიდა საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის ორგანო „კავშირი“ № 3, შემდეგი შინაარსით: 1. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცნობა ინგლისის მიერ 2. დიდი ბელადის ერთი დიდი ანდერძი—**მალაქია ტოროშელიძე.** 3. ლენინი კოოპერაციის შესახებ 4. კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა, 5. ამიერ-კავკასიის თათბირი მატყლის შესახებ 6. ამ. კავკ. თათბირის რეზოლიუცია მატყლის დამზადების შესახებ. 7. საქართველოს კოოპერაციის მოქმედების შესახებ (საუბარი ცეკავშირის გამგ. თავმჯდომარე მ. ტოროშელიძესთან და წარმოკავშ. გამგ. თავმჯდ. ლ. დუმბაძესთან). 8. სასოფლო მეურნეობა და კოოპერაცია—**ი. ქურ—ნი** 9. კოოპერატიული და ეკონომიური ქრონიკა 10. მოკლე სტატისტიკური ცნობები ძირითადი კ--ვების 1922 წლ. ანგარიშებიდან **ნ. [illegible]** 11. საქართველოს ცენტრ. კოოპერატ. კავშირის (ცეკავშირის) რწმუნებულთა ფართე წლიური ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში.

— **ჟურნალი „ახალგაზრდა ლენინელი“.** საქართვ. ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ცეკას დადგენილებით—ყოველთვიური სალიტერატურო-საპოლიტიკო-სამეცნიერო ჟურნალი „მომავალი“ თებერვლიდან გამოვა ახალი სახელწოდებით —„ახალგაზრდა ლენინელი“. ჟურნალში დარჩა „მომავალი“-ს ყველა განყოფილებანი და მიემატა ახალი განყოფილება, სადაც გაშუქდება ამხ. ლენინის პიროვნება და განსაკუთრებით მისი რევოლიუციონური მოღვაწეობა ახალგაზრდობაში. „ახალგაზრდა ლენინელი“-ს სარედაქციო კოლეგიაში შედიან დ. გვაზავა, გ. დევდარიანი, მ. კახიანი, ვ. გოგუშვილი და კ. ორაგველიძე.

— **შრომის ბირჟა.** 16 თებერვალს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—64 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—103, მოთხოვნილება იყო—32, სამუშაოზე გაიგზავნა—43.

შემთხვევები

— **შეიპყრეს.** 15 თებერვალს დღის 3 საათზე ვერის ბორანზედ ექიმ ვიაჩესლავ ალექსინინის მიერ შეპყრობილი იქნა ვიღაც ასლან ბეგოვი, რომელსაც სცმია აღნიშნულ ექიმის ფრენჩი. (რამდენიმე ხნის წინეთ გაუქურდავთ ალექსინინის ბინა და სხვა ნივთებთან ერთად წაუღიათ ფრენჩიც). ქურდათ შეცნობილ ბეგოვის ბინაზე მილიციამ აღმოაჩინა შეკრული ბოღჩა სხვადასხვა ნაპარავი ნივთებით, რომლებიც ცნობილ იქნენ ალექსინინის საკუთრებათ.

— **ცეცხლი.** 15 თებერვალს საღამოს 9 საათზე სურფ-სარქისის ქ. № 28 და 79 შრომის სკოლას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— **ბანდიტის მოკვლა.** აღბულაღის რაიონში მოკლული იქნა ცნობილი ბანდიტი სოლკა ჯიოშვილი.

— **ქურდობა.** 15 თებერვალს ღამის 12 ს. დიდი ვანქის ქ. № 1 ღამით გაქურდული იქნა მოქ. გიორგი არტემის ძე ოთაროვის ბინა. წაღებულია 1 ოქროს საათი და სხვადასხვა ნივთები 10 ჩერვონეცის.

— 15 თებერვალს საღამოს 7 საათზე ჩარქვიზიშვილის ქ. № 57 მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდული იქნა მოქ. ერმილე ინასარიძის ბინა, საიდანაც წაიღეს 14 ჩერვონეცის სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

ხელოვნება

პროლეტარულ მწერალთა კავშირში.

— კავშირის მორიგი სამშაბათობა, რომელიც იყო დანიშნული 19 თებერვლისათვის, გადადებულია სხვა და სხვა მიზეზების გამო პარასკევ 22 თებერვლისათვის მოხსენებას წაიკითხავს შ. დუდუჩავა თანამედროვე ქართულ თეატრზე.

საღამო დაიწყება 8 საათზე. შესვლა თავისუფალია.

— კავშირის გამგეობის მორიგი სხდომა დანიშნულია ხუთშაბათს, 21 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ხელოვნების სასახლეში.

— **საოპერო წარმოდგენა მუშებისათვის.** დღეს, ნაძალადევის მუშათა თეატრში გაიმართება საოპერო წარმოდგენა მუშებისათვის.

— **ს. ეულის პოემა „ჩათახი“.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ს. ეულის ახალი პოემა: „ჩათახის ქარხანა“.

დღეს თეატრებში.

— **დრამა.** „გაზი“ სამხატვრო აკადემიის სასარგებლოთ

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

— **ცირკი.** მრავალფეროვანი პროგრამა.

პროვინციაში

ექიმ სულაკოვის „მოღვაწეობა“ ლანჩხუთში

(ჯანმრთელობის კომისარიატის საყურადღებოთ)

სამწუხაროთ, დღემდის ჯერაც არ გაწმენდილა ჩვენი ზოგიერთი დაწესებულება იმ ბნელ ელემენტებისაგან, რომელთა მავნე მოქმედებები ჩირქს სცხებენ საბჭოთა ხელისუფლებას. ასეთ მავნე პირებს შეხვდებით პროვინციაშიც. ქალაქ ლანჩხუთში (გურია) არსებობს საავადმყოფო, რომლის გამგეთ არის ექიმი ვინმე სულაკოვი, რომელიც ტყავს აძრობს ისედაც ეკონომიურათ შევიწროებულ გლეხკაცობას. ექიმი სულაკოვი ძველი მონარქისტია, რომელიც გადმოსახლდა საქართველოში კავკავიდან დენიკინის დამარცხების შემდეგ. ეს ვაჟბატონი დაეპატრონა ამ საავადმყოფოს და ისეთი ატმოსფერა შექმნა, რომ ავადმყოფ გლეხს უჭირს თავისუფლად შევიდეს საავადმყოფოში დახმარების მისაღებად. მისი თვითნებობა ისე შორს წავიდა რომ როდესაც ავადმყოფი მიდის მასთან, მიუხედავათ იმისა, რომ მან უფასოთ უნდა გასინჯოს იგი და აღმოუჩინოს შესაფერი დახმარება, ის წინასწარ მართავს მასთან ვაჭრობას, ღებულობს ავადმყოფისაგან ფულს ორას მილიონობით და უფრო ხშირათ კი ინდოურებს და სხვა სურსათ-სანოვაგეს უხვათ.

ხშირათ ჰქონდა ისეთ მოვლენებს ადგილი, როდესაც საავადმყოფოში მისულ ავადმყოფ გლეხს ჯარით ისტუმრებს საავადმყოფოდან არ სინჯავს იქ, და ნაცვლად ამისა თავის ბინისკენ მიუთითებს, რომ მეტი ფული გადაახდევინოს. სულაკოვის ასეთი „მოღვაწეობა“ ეხლა არ დაწყებულა. ის ამ საავადმყოფოს სამი წელიწადია განაგებს და დღიდან მისი დანიშვნისა დღემდე განაგრძობს თავაშვებულ თარეშს ლანჩხუთის რაიონში.

სულაკოვის პიროვნების დასახასიათებლათ, თუ რა ტიპის მკურნალია ის და როგორი გამგეა საავადმყოფოსი, მე მოაიყვან ერთ შემთხვევას, რომელსაც ამა წლის 13 იანვარს ჰქონდა ადგილი: ვინმე თავზე ხელაღებულმა ღვინით გალეშილმა ურუშაძემ დანით დასჭრა შვიდი მიმავალი მგზავრი და მათ შორის ერთი ობოლი მოწაფე ჰეიშვილი, რომელსაც მძიმე ჭრილობა ჰქონდა მუცელში. ბავშვი მიიყვანეს საავადმყოფოში, რათა ჭრილობა შეეხვია. ბავშვი სისხლისგან იცლებოდა. გამკითხავი არავინ იყო. დაჭრილ ბავშვის მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო და ასეთ მომენტში სულაკოვმა, სანამ არ მიიღო წინდაწინ ორას ორმოცდაათი მილიონი ბავშვისაგან, მანამდი არ შეუხვია ჭრილობა. ფული ბავშვს არ ჰქონდა. ფულის შოვნამდე გასტანა დაახლოებით 3—4 საათმა და როდესაც ბავშვი სისხლისგან იცლებოდა, ექიმი სულაკოვი ფეხს არ დგამდა ბავშვის საშველად. ასეთი ფაქტები აუარებელია მისი „მოღვაწეობაში“. საბჭოთა ხელისუფლების დროს ასეთ უმგვანო და ბარბაროსულ მოქმედებებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. საავადმყოფო თავის პერსონალით დახმარებას უნდა უწევდეს სოფლის ღარიბ გლეხკაცობას, სამწუხაროდ, სინამდვილეში ხშირად წინააღმდეგი ხდება. აი, ასეთ ბნელ ელემენტების მეოხებით, რომლებიც შემთხვევით არიან მოკალათებული ჩვენს დაწესებულებებში. საჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა პროვინციებზე და დაუყოვნებლივ თავიდან მოშორება სულაკოვების, რომლებიც თავის კონტრ რევოლიუციონური მოქმედებებით ძირს უთხრიან საბჭოთა ხელისუფლებას. მე მოვითხოვ ჯანმრთელობის კომისარიატიდან, რომ ამ მოვლენას აქედანვე მიაქციოს ყურადღება და სათანადო ზომები მიიღოს ავანტიურისტ ექიმ სულაკოვის წინააღმდეგ. ადგილობრივი ხელისუფლება და გლეხები დაჟინებით მოითხოვენ მის გადაყენებას, რასაც უნდა გაეწიოს ანგარიში.

პარმენ ცინცაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ დაგიბეჭდოთ შემდეგი განცხადება.

მე 1918 წლიდან ვმუშაობდი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არავითარ საწინააღმდეგო დემონსტრაციებში მონაწილეობა არ მიმიღია. დღეს კომუნისტურმა პარტიამ საქმით დამანახვა, რომ ის არის ერთადერთი მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი და ამიტომ გულწრფელად ვტოვებ ახალგაზრდა მარქსისტთა რიგებს და ვღებულობ ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა კონფერენციების ყველა რეზოლიუციებს.

თამარ რამიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის.

დადგენილება № 85.

1924 წლის თებერვლის 11.

„იმ პროფესიათა შესახებ, რომელნიც შეღავათების უფლებას იძლევიან მშობიარობის წინ 8 კვირით და 8 კვირითვე მშობიარობის შემდეგ ფიზიკურ მუშაკებთან თანაბრად.

შრომის კანონთა კოდექსის 132 მუხლის შენიშვნის საფუძველზე ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ფიზიკურ მშრომელთათვის—შრომის კანონთა კოდექსის 132 მუხლით მინიჭებული შვებულების უფლება მშობიარობის წინ 8 კვირით და მშობიარობის შემდეგ 8 კვირითვე—გავრცელდეს შემდეგ პროფესიებზე:

1) ტელეფონის სადგურის ტელეფონისტ—ქალებზე; 2) ტელეგრაფზე მომუშავე ქალებზე; 3) ბებია ქალებზე, 4) სათნოების დებზე, მასაჟისტ ქალებზე, 5) ექიმ ქალებსა ფერშალ ქალებსა და ფსიხიატრიულ სამკურნალოთა და განყოფილებათა მეთვალყურეებზე, 7) იმ ექიმ-ქალებსა და ფერშალ ქალებზე, რომელთაც სამსახურის გამო სოფლად—სახლებში საექიმო დახმარების აღმოსაჩენათ უხდებათ სიარული, მოძრავი რაზმების ქირურგიული და საინფექციო სამკურნალოთა და განყოფილებათა და მშობიარობის დამხმარე დაწესებულებათა ამგვარი მოსამსახურე ექიმ და ფერშალ ქალებზე, 8) საბჭოთა ამბულატორიების კბილის ექიმებზე, 9) საბავშვო სახლების ბაღებისა და კოლონიათა, დეფექტიურ ბავშვთა სახლების—და რეფორმატორიების ხელმძღვანელებსა და აღმზრდელებზე, სოფლის სკოლების მასწავლებლესა, 1-ლ და მე-2-ე საფეხურის ინტერნატების აღმზრდელებზე, ფიზიკურ აღზრდის ინსტრუქტორ ქალებსა და იმ პირებზე, ვინც საპყრობილე ადგილებში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ეწევა, 10) დრამის, ოპერის, ბალეტის და ცირკის მსახიობ ქალებზე, ვინც უშუალოდ გამოდის სცენაზე, 11) ყველა იმ პირებზე, ვინც მუშაობას ღამით ეწევა, 12) საინსტრუქტორო და საინსპექტორო დარგში მომუშავეებზე, თუ ეს მუშაობა დაკავშირებულია მუდმივ მოძრაობასთან, 13) ფოსტის და ფოსტა-ტელეგრაფის გადამრჩეველებსა და აგრეთვე საბჭოთა განმანაწილებელ პუნქტებში მომუშავე გამყიდველებსა და 14) საწერ მანქანის მემანქანეებზე.

ა|კ. შრომის სახ. კომისარი
ს. იაკუბოვი.
ა|კ. შრ. სახ. კომ. საერ. საორ. განყ. გამგის მაგიერ თუმანოვი.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

17 თებერვალი, დილის 7 საათი

ტემპერატურა (ცელსიით): ფოთი... 6 გრ., სოხუმი 5 გრ., ბათომი... 6 გრ., სამტრედია... 5 გრ., ქუთაისი 5 გრ. აჯამეთი 4 გრ., ქიათურა... 3 გრ., ბორჯომი... 0 გრ, სურამი... 0 გრ., მუხრანი 1 გრ., ტფილისი... 1 გრ., მუკუზანი... 1 გრ., ერევანი... 4 გრ., ბაქო... 3 გრ.

ღრუბლიანობა: ყოველგან სრული.

ქარის ქროლა: ფოთში — სამხრეთის, ნელი; ბათომში—სამხრეთ-დასავლეთის, ნელი ბაქოში — ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ არ ქრის.

ნალექი: დასავლეთ საქართველოს ყველა ადგილებში წინა დღით მთელი დღე, საღამოს, ღამით და 17 თებერვლის დილის 7 საათზე წვიმდა ბორჯომში თოვლი დღით და დილის 7 საათზე, სურამში თოვლი საღამოს, მუხრანში თოვლი დილით, ღამით. ტფილისში ნელი წვიმა დილის 7 საათზე. ერევანში წვიმა დღით ბაქოში წვიმა ღამით.

ზღვის მდგომარეობა—ნაპირებთან: ფოთში, ბათომში. - ბაქოში—ჩაწყნარება. ლენქორანში —ძლიერი ღელვა.

ამინდი საქართველოში: მოღრუბლულია, ქარი არ ქრის დასავლეთ საქართველოში წვიმს, აღმოსავლეთ საქართველოში ნელი თოვნა, ალაგ ალაგ წვიმს.

ჩრდილოეთ-კავკასია.

17 თებერვალი, დილის 7 საათი.

კავკავი. ტემპერატურა:—5 გრ., მოღრუბლულია, ქრის დასავლეთის ნელი ქარი, არის უმნიშვნელო ნალექი.

კიზლიარი. ტემპერატურა:—0 გრ., მოღრუბლულია, ქრის აღმოსავლეთის ნელი ქარი.

ტფილისი

18 თებერვალი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 2 გრ., მოღრუბლულია, (ნელი თოვნა), ქარი არ ქრის.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ოთხშაბათს, სრულ 12 საათზე ლენინის სახელობის ბაგ. კომ. ჯგუფების ცენტრალური საბჭო იწვევს საქართველოს ახალგაზრდა პროლეტარულ პოეტების თათბირს ბავშვთა ორგანიზაციაში ბეჭდვითი საქმის შესახებ. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: ოდიშელი, კრეიგანი, ასილოვი, სუტირინი, პოლუმორდვინოვი, ლუარსამიძე, მაშაშვილი, აზნაურიანი.

თათბირი დანიშნულია ცენტრალურ საბჭოს შენობაში.

— **საქართველოს კ. პ. ტ. ორგანიზაც. არსენალის რაიკომი** იუწყება, რომ დღეს, სამშაბათს, 19 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე (პლეხანოვის პრ. № 96) მოხდება თათბირი სამოქალაქო და სამხედრო ნაწილთა უჯრედების მდივნებისა, წითელი არმიის 6 წლის თავისა და საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულის მოწყობის საკითხის განსახილველად.

არსენალის რაიონის როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო უჯრედთა ყველა მდივნები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ დამუშავებულ სადღესასწაულო გეგმით.

თათბირზე მოწვეულნი არიან ადგილობრივი, წარმოებითი და წითელარმიელთა კლუბების გამგენი.

მდივანი ნაზაროვი.

განცხადებები

ლენინის რაიკომი (1 რაიკომი) აუწყებს პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომ გარდაიცვალა

ამხ. ნოე ფირცხალაშვილი

დასაფლავება მოხდება დღეს, სამშაბათს, 19 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ განსვენებულის ბინიდან (ჩერქეზიშვილის ქუჩა № 115) ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე.

უფ. 1—1.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი

უძრავ ქონებათა სამმართველო 19, 20, 21 თებერვალს ნიშნავს საჯარო შეჯიბრებას დესიმონოვის მოედნის, კომუნალური და კახეთის ქუჩაზეთ მდებარე ბაკებზე და აგრეთვე რამდენიმე სასტუმროზე. საჯარო ვაჭრობა მოხდება ტფ. აღმასკომის საბჭოთა დარბაზში დილის 10 საათიდან. დაწვრილებითი ცნობები და კონდიციას მსურველებს შეუძლიან გაეცნონ ყოველ დღე დილის 12—3 საათამდის საჯარო საექსპლოატაციო განყოფილების ოთახში № 38-ში. (თავისუფლების მოედანი აღმასკომის შენობა).

უქს-ის გამგე იტრიევი. კრ. 904 2—2

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენის დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდების, ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—18

ექიმი
პ. გ. ვართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 499—25—7

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 6867 ალექსანდრე გლინკას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 566.

დაიკარგა პირადობის მოწმობა ილია ლუდუშაურის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 564

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული სიღნაღის მაზრის მილ. უფროსის მიერ და მეტრიკული ამონაწერი ამონად ზაქარიას ძე დარჩიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. უფ. 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ტფ. მილ. სამმართველოდან № 23882, რეგისტრაციის მოწმობა გატარებული 1922 წლისა და წიგნაკი თვითმშრომელთა. არჩილ თომას ძე გაგნიძე. 1—1 563

დაიკარგა საალრიცხვო ბარათი № 4 აკაკი გოგეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 562

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუსხა № 26 ნესტორ გიორგის ძე გეგელიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 561

1924 გრძელდება ხელისმოწერა 1924
რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის ყოველდღიურ დიდ გაზეთ
„ზარია ვოსტოკა“-ზე
(გამოდის ტფილისში 4—6—8 გვერდით)
რედაქცია და მთავარი კანტორა: რუსთაველის პროსპექტი № 8.
რედაქციის განყოფილებანი:
მოსკოვი—პურის შესახვევი № 3. ბინა 30.
ბაქო . . —მერკურიევსკი № 3. ტელეფ. 5—33.
ერევანი —პრესის სააგენტო.
ბათომი —მესამე ინტერნაციონალის 33. ტელ. 19—2
საკუთარი კორესპონდენტები: ბერლინში, რომში, ვარშავაში, ლონდონში.
საკუთარი კორესპონდენტები, მუშკორები, გლეხ. კორესპონდენტები და სამხედრო კორესპონდენტები ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებში, სოფლებში და სამხ. ნაწილებში.
[illegible]
ქალაქში:
1 თვით 1 მ. 50 კ. ჩ.
6 „ 8 „ — „ „
1 წლით 15 „ — „ „
სხვა ქალაქებში:
1 თვით 1 მ. 75 კ. ჩ.
6 „ 9 „ 50 „ „
1 წლით 18 „ — „ „
კოლექტიურად ხელის მოწერის დროს—მუშების, მოსამსახურეების, წითელარმიელების და პარტიულ ორგანიზაციებისათვის —არსებობს შეღავათი 25 პროც. რაოდენობით.
ცალკე ნომრის ფასი ა.-კავკასიის ყველა ქალაქებში 7 კ. ჩ. ([illegible])
მიიღება განცხადებები მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 8) და რედაქციის ყველა განყოფილებებში. 3—2.

ჩვენი პრემიები:
„ზარია ვოსტოკა“-ს ორკვირეული ჟურნალი
„კლამია.“
ორკვირეული საილიუსტრაციო, სალიტერატურო-სამხატვრო და სატირიული ჟურნალი.
სამი თვით ხელისმომწერნი (როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად) ღებულობენ უფასოდ ორკვირეულ ჟურნალს
„კლამია“-ს

ჩვენი პრემიები:
1924 წლისათვის „ზარია ვოსტოკა“-ს წიგნთსაცავი.
1. ჯემალ ფაშას მემუარები. წიგნი უკვე გამოვიდა და შეიცავს 200 გვერდს. ცალობით წიგნი ღირს 1 მ. ჩერ. ნახევარი წლით ხელის მომწერნი მიიღებენ წიგნს თებერვლის დასასრულს.
2. ამიერ-კავკასიის სტატისტიკურ-ეკონომიური კრებული (650 გვერდი) ამ კრებულის დაწვრილებით სათაური გამოცხადებული იქნება ცალკე.
3. თანამედროვე მწერლების ალმანახი. (რუსული, ქართული, სომხური და თურქული ლიტერატურის საუკ. ნაწარმოებები).
ნახევარი წლით ხელის მომწერნი (როგორც ინდივიდუალურად ისე კოლექტიურად) ღებულობენ უფასოდ „ზარია ვოსტოკა“-ს წიგნთსაცავს და ორკვ. ჟურნალს „კლამია“-ს.

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 6.